ქალების ნაბეჭდი

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

UN WOMEN

ქართული ენა

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality
and the Empowerment of Women

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საagენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება წარმოადგენს.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაეროს წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს ხუთ ძირითად მიმართულებაზე აკეთებს: საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდაზე; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზე; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფაზე; ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირებაზე ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას.

ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორებისეულია და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს.

პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ინოვაციური ინიციატივა გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

პუბლიკაციის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელნი არიან ავტორები და ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა განიხილებოდეს როგორც ევროკავშირის მოსაზრებები.

მთარგმნელი: გიორგი ასკურავა
რედაქტორები: თამილა არშბა, მაკა ქამუშაძე

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) 2015
ISBN 978-9941-0-7515-5

სარჩევი

კონკრეტული შედეგი
ლაშა ბუღაძე 4

ცთომილების სიმფონია
ეკატერინე ტოგონიძე 8

ცხელი აგვისტოს 8
როინ აგრბა 17

ვერტმფრენი
ტამერლან ტადტაევი 24

ვიკი, სოხუმი, ბარსელონა
დათო ტურაშვილი 31

როცა ტირის ბავშვი
გუნდა საკანია 36

უკან დასახევი გზა არ არსებობს
თამარა ტერაშვილი 39

ბეღურა
მარიამ ხიდეშელი 46

სუსტი არგუმენტაცია
ალან ცხურბაევი 50

კონკრეტული შედეგი

ყველაზე უხერხული ის იყო, რომ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცოდით მათ შესახებ.

ვინ არიან ეს „მათ„?

„მათ" – ესაა გაუცხოების, შიშის, წყენის, დაუინტერესებლობის, მუქარის, გაღიზიანების, ზიზღის, ოთხმოცდაათიანი წლების მემკვიდრეობად ქცეული სტერეოტიპული წარმოდგენების წლები... ესაა ამბები, რომლებიც მკვდარ ლოზუნგებში, ციტატებსა და დეფინიციებშია ჩამარხული: „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია", „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა", „ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს..."

ოც წელზე მეტია ამ სიტყვებს დაგვძახიან, რომ „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია" და ეს იმდენჯერ და იმდენნაირად მოვისმინეთ, რომ აბსოლუტურად არაფერი გვტკივა, როცა სადმე ისევ თვალს ან ყურს მოვკრავთ რაიმე მსგავსს.

ამ მკვდარმა სიტყვებმა სრულად განდევნეს ადამიანთა ნამდვილი ამბები.

რამდენიმე წლის წინათ სარეკლამო ბანერივით გამოკიდებულ გახუნებულ სიტყვებს მოვკარი თვალი: „ნუ დავივიწყებთ აფხაზეთს".

მახსოვს, მაშინ გავიფიქრე, ვისთვისაა ეს წარწერა? ვის უნდა ახსოვდეს? ან რა?

რა ვიცით ჩვენი ომების შესახებ? რას ვიმახსოვრებთ და რას ვდევნით ჩვენი მეხსიერებიდან? ან რა ვიცით „მათზე" – დღევანდელ აფხაზებზე და ოსებზე იმის გარდა, რასაც ჩვენსავით ზედაპირული (ან იდეოლოგიზებული) მედია გვაწვდის?

აღმოჩნდა, რომ პირადად მე მათ შესახებ ბევრი არც არაფერი მცოდნია.

2014 წლის 15 ოქტომბერს სტამბოლში პირველად ვნახე ნამდვილი სოხუმელი აფხაზები და ცხინვალ-ვლადიკავკაზელი ოსები, ჰოდა, შოკი პირველივე შეხვედრის დროს მივიღე: აფხაზები ღიმილით და თბილად გაგვეცნენ, ხოლო ერთ-ერთმა ოსმა მონაწილემ პირდაპირ ქართულად დამიწყო საუბარი. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მათ არ ეკიდათ ავტომატები, შუბლზე და ლოყებზე წითლად არ ჰქონდათ მიხატული პუტინის ანფასი და, პრინციპში, ზუსტად ისევე იქცეოდნენ და გამოიყურებოდნენ, როგორც მე.

ერთის მხრივ, ჩემმა პროფესიულმა გამოცდილებამ, მეორე მხრივ კი ასეთ შეხვედრებზე ხშირად მოსიარულე სხვა პროფესიის მქონე ხალხის გამოცდილებამ მერამდენედ დამარწმუნა, რომ მწერლები და, ალბათ, ზოგადად, ადამიანები, რომლებიც ხელოვნებასთან არიან ახლო, ბევრად უფრო ადვილად და სწრაფად პოულობენ საერთო ენას, ვიდრე თუნდაც მრავალნანახი ჟურნალისტები, ან, გნებავთ, პოლიტიკოსები.

თუმცა, წინასწარი ლიტერატურული სუბიექტივიზმის მიუხედავად, რომ მწერლები ყველაზე ადამიანური ხალხია დედამიწაზე, მაინც გამიკვირდა, რომ აფხაზებს და ოსებს ზუსტად იმავეზე ეცინებოდათ, რაზეც ჩვენ, ქართველებს, ის საჭმელი არ მოსწონდათ, რასაც ვერც ჩვენ ვუგებდით გემოს და მათაც იმავე ადგილების მიგნება სურდათ სტამბოლში, რასაც ჩვენც ვეძებდით, როგორც ყველაზე ცნობილი თურქი მწერლის რომანების მკითხველები.

ცხადია, არც ჩვენ ვგავდით ოთხმოცდაათიანი წლების ზოგიერთ ქართველ მწერალსა თუ საზოგადო მოღვაწედ სახელდებულ რომელიმე აქტიურ სოციალურ ცხოველს, რომელიც ინფანტილური სისასტიკითა და უპასუხიმგებლობით მოითხოვდა „აფსუები იქ დაბრუნებულიყვნენ, საიდანაც ჩამოსახლდნენ" და რომ „ოსებს ერთ დღეში უნდა დაეტოვებინათ ქართული მიწა-წყალი".

ასე რომ, წინასწარი წარმოდგენები, თუკი საერთოდ გვქონდა ასეთი, ერთმანეთის გაცნობისთანავე არააქტუალური გახდა.

პრობლემები რომ რეგიონს აქვს და არა ჩვენ, ეს სტამბოლში ჩასვლამდეც ჩანდა: ჩვენი ერთად შეყრა გადაიდო (აფხაზები პრეზიდენტს ირჩევდნენ), ხოლო ერთ-ერთი მონაწილე მწერალი, რომელიც საქართველოს გავლით მოდიოდა სტამბოლში, თბილისის აეროპორტში შეაჩერეს და უკან გააბრუნეს, რუსეთში: ოდესღაც ბოევიკი ყოფილაო.

მწერალი-ბოევიკი, საბოლოოდ, ორი დღის დაგვიანებით შემოგვიერთდა და ბევრი გვაცინა თავის წვალებაზე: როგორ გამოიცვალა ოთხი რეისი (მაშინ, როცა კატეგორიულად ვერ იტანს ფრენას) და როგორ შეეშინდა, რომ ახლა ქართველი პოლიციელები მსოფლიოს ყველა აეროპორტში გამოკიდებდნენ მის ფოტოს: „ძველი ბოევიკი". არ ვიცი, აისახება თუ არა ეს ახალი თავგადასავალი მის რომელიმე მოთხრობასა თუ ფილმში, მაგრამ ის ტექსტი, რომელიც მან ჩვენი კრებულისთვის დაწერა, ერთმნიშვნელოვნად ჩემი საყვარელი მოთხრობების რიცხვშია შესული.

დამამახსოვრდა ახალგაზრდა და შესანიშნავი ვლადიკავკაზელი მწერლის მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორ მოუხდა მას და მის მშობლებს საქართველოდან გადასახლება ისევ იმავე ოთხმოცდაათიან წლებში, რადგან, თურმე, ძალიან შეეშინდათ ქართული ნაციონალიზმის.

ვწერ „თურმეს", რადგან ის, რაც ჩვენთვის, ქართველებისთვის, მხოლოდ სიტყვები იყო, სხვისთვის საბედისწერო საფრთხეს წარმოადგენდა; მაშინ, როდესაც ჩვენთვის ვიღაცის „ნაციონალიზმი" მხოლოდ რიტორიკა იყო, არაქართველისთვის ყოფილა ბიძგი, რომ სახლ-კარი მიეტოვებინა და სამუდამოდ გადასახლებულიყო.

შეიძლება ეს ტოტალურად არ ხდებოდა, რაკი მაინც ვფიქრობ, რომ ვინც ეთნო-ფაშიზმს ქადაგებდა, ან საზოგადოების მცირე, მაგრამ სამწუხაროდ გავლენიან ნაწილს წარმოადგენდა, ანდა ამ წიგნში ერთი არხსენებული ქვეყნის სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებდა, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ეროვნული უპირატესობის განცდით დამთვრალი ქალები და კაცები სპეცსამსახურების ჩარევა-ზემოქმედების გარეშეც დაუღალავად გაჰკიოდნენ ახალდაბადებული სახელმწიფოს მკვლელობის ტოლფას დამღუპველ ლოზუნგებს.

არ დამავიწყდება ერთ-ერთი მონაწილის სიტყვები, რომელმაც კიდევ ერთხელ შემახსენა ბანალობამდე მარტივი სიბრძნე: ეცადო მოახერხო ელაპარაკო მას, ვისთანაც ოდესღაც შენს ხალხს თუ ქვეყანას (ან იმას, რასაც მაშინ შენი სახელმწიფო ერქვა) უომია. ოღონდ ისე კი არა, როგორც იმ არდასახელებული ქვეყნის მაღალჩინოსნები მოგვიწოდებენ — ქართველები აფხაზებსა და ოსებს პირდაპირ უნდა ელაპარაკონო (და რომლებიც ყველაზე მეტად ცდილობენ, რომ ეს კონტაქტი არ შედგეს), არამედ მართლაც შევიგნოთ, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში ცოცხალი ადამიანები ცხოვრობენ — თავიანთი პრინციპებითა და ისტორიით, — და არა ჩვენი პატრიოტული მოწოდებებით აკრძალული საფრთხობელები. ისევე, როგორც ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს გვაღიზიანებს რუსეთის რომელიმე საჭეთმპყრობლის დარწმუნებულობა იმის თაობაზე, რომ თურმე, ქართველების ამბავი არა ამ ქვეყნის მოქალაქეებმა, არამედ დასავლეთმა და მათ უნდა გადაწყვიტონ, აფხაზური და ოსური საზოგადოებისთვისაც შეურაცხმყოფელია, როცა ქართული ხელისუფლებებიც დაუღალავად იმეორებენ ერთსა და იმავეს - რომ აფხაზებთან და ოსებთან ლაპარაკს აზრი არა აქვს.

შეიძლება ბევრი ვიკამათოთ, ვისთან ღირს ლაპარაკი და ვისთან არა, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რომ ნამდვილად არ ვიცი, ვისი ბედი სად წყდება, რადგან ბედისწერა ყველას თავისი აქვს — როგორც ადამიანს, ასევე მთელ ერს. და თუკი შესაძლებელია, რომ თუნდაც ერთ ადამიანს მაინც მიაწვდინო შენი ხმა, ამ ერთს აუცილებლად მოჰყება მეორე და მესამე.

სტამბოლში კი ერთი და ორი კი არა, მთლად თხუთმეტნი ვიყავით.

ჰოდა, რახან უმეტესობას მწერლები წარმოადგენდნენ, ბუნებრივია, უნდა დაგვეწერა კიდეც რამე და რაკი ომები და ომებში ქალების როლი იყო ჩვენი მთავარი თემები, როგორც შეხვედრის თანამოდერატორმა (ჩემთან ერთად შეხვედრებს ირლანდიელი მწერალი სიუზენ მაქქეი უძღვებოდა), კოლეგა-მწერლები ორ-ორად დავაწყვილე და ვთხოვე, ერთმანეთისთვის თავთავიანთი ომებისა და ამ ომებში საკუთარი გამოცდილების შესახებ მოეთხროთ. ამის შემდეგ კი შევთავაზე ერთმანეთისთვის გაეცვალათ მოგონებები და ყველა მწერალს მეწყვილე მწერლის მიერ მოყოლილი ამბავი აღეწერა პირველ პირში: ესე იგი, აფხაზ მწერალს ქართველის ამბავი მოეყოლა, ქართველს აფხაზის, ოს მწერალს აფხაზის და ა. შ. შედეგად, მწერლებმა ტექსტით (და სხვა, ბევრად უფრო სენსიტიური ინსტრუმენტებით) გაითავისეს სხვათა გამოცდილება და დაწერეს ის, რაც ამ წიგნშია დაბეჭდილი. ზოგმა მეტად დაიცვა ეს პრინციპი, ზოგმა ნაკლებად, მაგრამ საბოლოოდ ცხრა მნიშვნელოვანი, უაღრესად ინდივიდუალური ხმით და სტილით აღბეჭდილი მოთხრობა მივიღეთ, რომელთა წაკითხვის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, უფრო უკეთ შევიტყობთ, როგორც ავტორების, ასევე საკუთარი თავების შესახებ.

და ბოლოს. ჩვენ ვერ შევძლებდით ერთმანეთის გაცნობას, რომ არა „გაეროს ქალთა ორგანიზაცია", რომელთა ჭკვიანი თანამშრობლების იდეაც ის იყო, რომ სწორედ მწერლები შეხვედროდნენ ერთმანეთს და სიტყვებს ამ წიგნის სახით მაინც მოჰყოლოდა თუნდაც ერთი კონკრეტული შედეგი. ამიტომ მათ მთავარი მადლობა.

დანარჩენი წიგნშია.

ლაშა ბუღაძე
მწერალი

ცთომილების სიმფონია

ეკატერინე ტოგონიძე

აქ არავინ ტყუის. არავინ არაფერს ნანობს, არ ბრაზობს, არ სწყინს, არ უხარია და არც ენატრება... აქ არავის ეჩქარება – დრო არ არის დაყოფილი მონაკვეთებად, არ არსებობს ათვლის წერტილი. აქ სიჩუმეა.

ტყუილი ყოფილა ნასას აუდიოჩანაწერები... ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ დედამიწაზე.

ის ქალი, ასიდა, თავის ამბავს ჰყვება... განა ისე, როგორც ადამიანები ლაპარაკობენ, ხმას უწევენ, სიტყვებს არჩევენ, ზოგჯერ ცრუობენ, აზრს წყვეტენ-აგრძელებენ, მსმენელის რეაქციას ამოწმებენ, კითხვებს პასუხობენ... არა, აქ ასე არაა. აქ ლაპარაკი სულაც არ სჭირდება მოყოლას. ასიდას არსებობაც კმარა – ამბავი თავისით ითხობა. ეს ქალი არის ამბავი სახელად „ასიდა“.

ჩვეულებრივ, ადამიანები მოყოლას იწყებენ და ამთავრებენ – დროის რაღაც მონაკვეთში მომხდარ ფაქტებს აჯგუფებენ, კავშირებს ეძებენ და ბოლომდე ვერ ხსნიან, რადგან ამბავს ზღუდავენ პერიოდით. აქ უსასრულობაა და უსასრულობა პასუხობს ყველაფერს. აქ ყველანი ჩვენ სხვა არაფერი ვართ, თუ არა მუდმივი, მუდმივარსებული ჩვენი ამბები, დასაწყისისა და დასასრულის გარეშე.

მაშ ასე, მე ვარ ამბავი „21“.
„ასიდა“ მე არასდროს გადამხდენია ანუ ეს ამბავი არასდროს ვყოფილვარ და სანამ, ყველა სხვა შეგრძნებასთან ერთად, სირცხვილსაც დავკარგავდი, მრცხვენოდა ამის. სინდისი მაწუხებდა, რომ მე არასდროს გამოვქცეულვარ საცხოვრებელი ადგილიდან, არასდროს დავრჩენილვარ ზაფხულის კაბისა და სანდლების ამარა, არასდროს გავკიდებივარ დაძრულ ავტობუსს, რომელსაც ხალხი უსაფრთხო ადგილას გადაჰყავდა, ჩემ გვერდით არ მჯდარა სასოწარკვეთილი ქალი ორი ბავშვით ხელში, ოთხი თვის ტყუპებით, და შესაბამისად ავტობუსის „ბოლო გაჩერებაზე” ამ ქალს ჩემთვის არ უკითხავს, ახლა სად წავიდეო...

ჰო, ამას ჰყვება „ასიდა“. ომის დაწყება, როგორც უმრავლესობამ, მანაც ტელე-ვიზორიდან გაიგო. დეიდასთან და ბებისასთან იყო სტუმრად, სადილობდა. რამდენიმე წუთში კარზე ბრახუნი გაისმა და მისი ავტომატიანი ქმარი გამოჩნდა. ასიდას ქმარი მხატვარი იყო და იარაღი ხელში პირველად ეჭირა. ყველაფერი სწრაფად ხდებოდა, დაუფიქრებლად. შიშმა ქუჩაში ავტომატის ხმასთან ერთად გაიღვიძა, მანამდე იყო მხოლოდ დაბნეულობა და გახიზვნის ან ბრძოლის აუცილებლობა, სქესისა და ასაკის მიხედვით... ღირსების მიხედვითაც... ასიდას და მის ქმარს შვილი არ ჰყავდათ. ქუჩაში გამოსული დედები მიკრული ბავშვებითა და ჩაბღუჯული ნივთებით ასიდას მტკივნეულად მოხვდა თვალში და იფიქრა, რომ კორპუსებთან გაჩერებულ ავტობუსში მისი ადგილი არ იყო – გადარჩენა უფრო ბავშვიანებს ეკუთვნოდათ. წლების განმავლობაში რამდენიმე ორსულობა გაურკვეველი მიზეზებით შეუწყდა. ნეტა სად არიან ახლა ის ბავშვები, ეტყობა ყველანი ბიჭები იყვნენ...

ნასას აუდიოჩანაწერი, რომელიც პლანეტების ხმებს ასახავდა, ინტერნეტით მოვისმინე, გადმოვწერე და ყურსასმენებში გავუშვი. გიორგიმ თავიდან ყუ-რადღება არ მომაქცია, მაგრამ როგორც კი იგრძნო კოსმოსის იდუმალი ხმებით ჩემი გატაცება, სასწრაფოდ და კატეგორიულად ამიკრძალა. გიორგის ეჩვენებოდა, რომ რაღაც მისთვის განკუთვნილი ერთმეოდა, დრო, ყურადღება, ფანტაზია... მისით აღფრთოვანებას აკლდებოდა გარკვეული ნაწილი. არადა პირიქით... მე მჭირდებოდა პაუზა, მუსიკა, კინო, ან არ ვიცი... გასეირნება თუ მეგობრების თავისუფლად ნახვა, უბრალოდ სხვა ხალხი გარშემო, რომ ჩემი ქმრით ხელახლა მოვხიბლულიყავი.

რაც უფრო ღიზიანდებოდა ამ ახალი აკვიატებით, მით უფრო მინდებოდა პლა-ნეტების მოსმენა. გიორგი სიმფონიის წარმომავლობითაც დაეჭვდა, დაინ-ტერესდა, კონკრეტულად ვინ გამიზიარა ჩანაწერი... აკი ვთქვი, ინტერნეტში წავაწყდი-მეთქი... ან რა იყო იქ ასეთი განსაკუთრებული?! უბრალოდ ბავშვობიდან მიყვარდა ნიჟარის მიყურადება, წყალში ყვინთვისას ზღვის მოსმენა, ფანჯრებზე მომწყდარი ქარისა და გვალვის მერე ჩამოქცეული ცის ხმაური, გამოქვაბულის დაგუდული, საიდუმლო დუმილი... აი, ამ ხმებს მაგონებდა ცთომილთა სიმფონია. რას ვაშავებდი? ვიჯექი ჩემთვის ფეხმორთხმით სავაძელში, გიორგის ნაჩუქარი ჟაკეტის ჯიბეში გიორგის ნაყიდი მობილური მედო, მისივე მოცემული ყურსასმენები მეკეთა. სახლში სადილიც მზად იყო და ოთახიც – დალაგებული. თავზე ჩემი ნაცრისფერი პანამა მეხურა, ცხვირამდე ვიფხატავდი სრული სიმყუდროვისთვის ან გასახედად ცოტა ადგილს ვიტოვებდი და ფანჯარაში ყველაზე შორ წერტილს ვირჩევდი... გავყურებდი კორპუსების უკან ალაგ-ალაგ ამოწვერილ მთის ფრაგმენტებს და ძალიან მომწონდა სატურნის ფრთხილი, დაძაბული ჩურჩული. მომწონდა ურანის ხმდაბალი ზუზუნი, რომლის სიღრმიდან აშკარად გამოდიოდა განგაშისა და ამბოხის შეფარული სიგნალი. გიორგისაც მოეწონებოდა ეს ხმები,

თვითონ რომ მიეგნო. პლანეტების აუდიოჩანაწერი რაღაცით მის საყვარელ ანჯელო ბადალამენტის მუსიკასაც წააგავდა. აუცილებლად მოეწონებოდა, მე რომ არ მომწონებოდა პირველს, მისგან დამოუკიდებლად რომ არ მეპოვა. ამ ხმებში ხომ ყველაფერი იყო, შიში, სიყვარული, დიდი აფეთქება, ომიც და მშვიდობაც.

მშვიდობა აღარ იყო ჩვენში. ომიდან დაბრუნებულმა გიორგიმ თავი ვეღარ დაიბრუნა, ომგამოვლილმა ომი ვეღარ დაასრულა. ვერ დაივიწყა დიდი, გარდაუვალი სიკვდილი, რომელიც ჯარისკაცებთან ერთად ქალებს და ბავშვებს გადასწვდა, ვინც გაასწრო, იმათ ჩრდილად აეკიდა ყველაზე მზიან დღეებშიც კი... ვერ დაივიწყა ამ სიკვდილში საკუთარი უნებლიე თუ მიზანმიმართული მონაწილეობა.

გიორგიმ ომი გამომიცხადა. დამადანაშაულა, რომ ვერ ვუგებდი... ომის გაგება ხომ მხოლოდ ომშია შესაძლებელი.

მე, ამბავი „21“, „ასიდასავით“ არ გავქცეულვარ ოჩამჩირეს სამხრეთით ქმრის ნათესავებთან, მე არ შემიშველებია ტყუპების დედისთვის ხელი ავტობუსიდან ჩამოსვლისას და მაზლისთვის არ მითხოვია, ისინიც ჩვენთან შეგვეფარებინა. „ასიდა“ კეთილი ამბავია. მან ოთხი თვე გაატარა სოფლის სახლში ჭურვების გრუხუნსა და ქმრისგან ცნობის მიღების მოლოდინში. შეფარებული ქალის შვილებზე ისე ზრუნავდა, ერთადერთი იყო დედის გარდა, ვინც ტყუპების გარჩევა ისწავლა.

იმ თვეებში ასიდამ ქმარი ერთხელ ნახა. კაცმა სოფელში ჩააკითხა. სარდაფში ცოლთან რამდენიმე წუთით განმარტოებულმა ასიდას უთხრა, რომ არავის მოკლავდა და მის სკამთან ჩამუხლულმა ხელები კალთაზე ბავშვივით შემოხვია. სარდაფში ასიდამ მოგვიანებით დაჭრილი კაცი შეიფარა. ღამე ისე გაათევინა, ტყუპების დედის გარდა, ვერავინ გაიგო. ქართველი იყო ის ჯარისკაცი. გადარჩა. იქნებ გიორგი შეიფარა ასიდამ?! მაგრამ აქ შეკითხვები არ არსებობს, არავინ აწყვეტინებს ერთმანეთს ამბავს, მხოლოდ ვყვებით – ჩვენივე თავს ვყვებით გაუჩერებლად.

სანამ გიორგი კომპიუტერთან მუშაობდა, მეც შორი-ახლოს უნდა ვყოფილიყავი. სახლიდან გასვლა მხოლოდ მაშინ შემეძლო, როცა თვითონ მიდიოდა ბიჭებთან. დაბრუნების ზუსტი დრო არასდროს ვიცოდი, თუმცა მთვრალს აუცილებლად შინ უნდა დავხვდეროდი.

ნეპტუნის შიშინი არაფრისმთმელი მეჩვენებოდა, სანამ ტუალეტში შეკეტილმა ბოლომდე არ შევისწავლე თითოეული ხმაური და ჩანაწერი სრულიად ჩამოყალიბებულ მელოდიად აღვიქვი. ნელ-ნელა ნეპტუნის სიმშვიდეში აღმოვაჩინე

სიზმრისეული ილუზია და ყოველ ჯერზე სხვადასხვა ფანტაზიის აღმძვრელი განწყობა. თავიდან თვალდახუჭული ვერ ვცნობდი ვენერას. მერე ნელ-ნელა გავარჩიე, რამდენად გამოკვეთილი და ჰარმონიული იყო საეკლესიო ზარებივით მჟღერი ცთომილი. იმდენი ვატრიალე პლანეტების აუდიო ვიბრაციები, სანამ ზეპირად არ ვისწავლე და მუსიკასავით არ ავიკვიატე. გიორგიმ ვერ დამიშალა მათი მოსმენა, მე უკვე ყურსასმენების გარეშეც ჩამესმოდა მარსი, ვენერა, ურანი, ნეპტუნი და მთელი კოსმოსი.

როდესაც სახლში ჩემი ქმრის გინება, მაგიდაზე ხელის დარტმა, მაუსის ბრახუნი ან მტვრევის ხმა ისმოდა, მუცელში რაღაც მეკუმშებოდა. ყოველ ჯერზე მეგონა, რომ მე მაგინებდა. მაშინაც კი, როცა გიორგის, მხრებში მოხრილსა და კომპიუტერის ეკრანზე მიშტერებულს, სამუშაოში რაღაც არ გამოსდიოდა, კბილებში გამოცრილი უმისამართო უხამსი სიტყვები დანასავით მსერავდა. ძალას მაცლიდა თავდასხმის მოლოდინი, მთანგავდა ის რამდენიმე წამი, სანამ გაირკვეოდა, მე მეკუთვნოდა თუ არა გიორგის რისხვა.

თავიდან ასე არ იყო. თავიდან არათუ ვიკუმშებოდი, ერთიანად მიჯანყდებოდა მთელი სხეული, სისხლი სწრაფად მიმოძრავებდა ძარღვებში და საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად თუ ღირსების დასაცავად მზად ვიყავი ბოლომდე მებრძოლა, დამელეწა ჭურჭელი და კედლებიდან ჩამომეგლიჯა ჩვენი რომანტიკული ფოტოები, დავმუქრებოდი სახლიდან წასვლით... მაგრამ ჩემგან შებრუნებული სილა, რამდენჯერმე ისე დაუნდობლად დამიბრუნა, რომ უბრალოდ დამიკარგა წინააღმდეგობის უნარი. თანდათან მივხვდი, თანდათან ვისწავლე, შევიკუმშე, დავპატარავდი და თითქოს შემცირებული თუ უბრალოდ შეჩვეული დარტყმები უფრო იოლად ავიტანე. ვარცხნისას ახლა ნაკლები თმა მოყვებოდა სავარცხელს, თმით თრევას შეძლებისდაგვარად ვირიდებდი. ტუჩის კუთხეც მოვიშუშე. ბოლო თვეებში თავით კედელზეც აღარ მივუნარცხებივარ. დალურჯებულ მკლავებსა თუ ბარძაყებს ტანსაცმლით იოლად ვფარავდი. გადაგრეხილ ხელებსა და თითებზე კი კვალი საერთოდ არ მრჩებოდა. მოკლედ ყველაფერი არც ისე საშინლად იყო... მე უკვე მესმოდა ცთომილთა ხმა - მარტო აღარ ვიყავი. მესმოდა მარსის ზრიალი, როცა ჩემკენ მოქნეული ხელით თითქოს ამ „წითელი უდაბნოს“ ცხელი ქარი მეხლებოდა სახეზე. გიორგისგან და ასიდასგან განსხვავებით მე არ ვყოფილვარ აფხაზეთში და არ გამიგია ტყვიების ზუზუნი, ჭურვების გრუხუნი, მაგრამ მე მესმოდა ნგრევის გამაფრთხილებელი ბგერები მარსის საშიშ და დამთრგუნველ გუგუნში... ყელში ხელწაჭერილს, როცა სახე უჰაერობისგან თითქმის მილურჯდებოდა, მე უკვე მკაფიოდ ვგრძნობდი ურანის სუნთქვას. მისი აჟღერებისას, ჩნდებოდა სიკვდილი. თუმცა ურანი, რომელიც სიკვდილთან ერთად სექსისა და რეგენერაციის წარმმართველი პლანეტაა, ორ გზას ტოვებდა: გიორგი ან მომკლავდა ან მთელი სხეულით დამაცხრებოდა საკუთარი ვნების მოსაკლავად.

ასიდას ომმა შვილი დაუტოვა. სარდაფში რამდენიმეწუთიანი ეპიზოდები გადამწყვეტი აღმოჩნდა მის ცხოვრებაში. ზუსტად არ იცოდა, რომელი ვერნათქვამი უარის შედეგად გაჩნდა ბავშვი – უცნობი, დაჭრილი ჯარისკაცისა თუ შეშინებული, გაუცხოებული ქმრისთვის. სოხუმში რომ დაბრუნდა, მუცელი არ ეტყობოდა, მაგრამ უკვე ზუსტად იცოდა – ბავშვი დაიბადებოდა. ომის შემდეგ გაპარტახებულ ქალაქში ქმარი ელოდა. შეჰპირდა, ყველაფერს მოვაგვარებო. სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტ, სრულიად უმწეოდ მაშინ წარმოთქვა, როცა სახლში, სახურავახდილი კორპუსის მეთორმეტე სართულზე დაბრუნდნენ და მთელი მხოლოდ ერთი კედელი დახვდათ. ქმარმა ვერა, მაგრამ მაზლმა ნელ-ნელა გადახურა ბინა.

ასიდას მშობიარობა ცამეტი იანვარის ღამეს დაეწყო, როცა აფხაზეთში ტრადიციულ, ნამდვილ ახალ წელს აღნიშნავენ. წეს-ჩვეულების მიხედვით, მიწიდან წინა წელს დაფლულ ღვინოს იღებენ და იმდენ მამალს კლავენ, რამდენი კაციც ჰყავთ გვარში. განადგურებული ფერმებიდან შეკოწიწებული მამლები თავისუფლად ეყო თემში შემორჩენილ კაცთა რაოდენობას. იმ დილას კიდევ ერთ მამალს წაიკალეს თავი ასიდას პირმშოს დაბადების აღსანიშნავად.

ჩემი პანამა თურქეთშიც წავიღე. სასტუმროს ნომერში დაბრუნებულმა თავზე ჩამოვიფხატე. ხელები მიცახცახებდა. გვიანი იყო. მე და გიორგიმ რესტორანში ვივახშმეთ. მანამდე მხიარულად ჩამოვიარეთ ტოპ კაპის მიმდებარე ტერიტორია, შევიარეთგვიანობამდე შემორჩენილ მაღაზიებში, სახლისთვის ყავის ჭიქები და პატარა საშაქრე ვიყიდეთ მეტალის ლანგარსა და მოჩუქურთმებულ ჩასადებში. გიორგის ყავა არ უყვარდა, მაგრამ ხანდახან ჩემი ხათრით სვამდა. რესტორანში სიცილით შევედით. მიმტანი ბიჭიგამორჩეული ყურადღებით მომეპყრო. ტურისტულ უბნებში თურქები ლამის ძალით მიგვათრევდნენ თავიანთ დაწესებულებებში, კაფეებსა თუ მაღაზიებში... გიორგიმ კარგად ვერ გაიგო, მიმტანი ინგლისურად რას მეხუმრებოდა. გვერდითა სუფრიდან კიდევ ერთმა კაცმა შეაჩერა ჩემზე მზერა. დავიძაბე. რა სახე გაქვსო, შემომიღრინა გიორგიმ და პაუზის მერე შენიშვნა წითელ პომადაზე მომცა. პირზე ხელსახოცი ავიფარე. თეთრ ფონზე წითლად დარჩა ჩემი ტუჩები. ამ დროს მიმტანი დაბრუნდა, კერძები და ჰაერით გაბერილი, თბილი პური - პიტა მოგვიტანა. უცებ ჯიბიდან „მარსი“ ამოიღო, ჩემს პომადიან ხელსახოცს მიუდო და ღიმილით თქვა: „შოკოლადი ქალბატონისთვის!“ ყურებში მარსის გუგუნი ჩამესმა. გიორგის შევხედე, საეჭვოდ იღიმოდება. წამით იმედი მომეცა, იქნებ არ გაბრაზებულა-მეთქი, საზღვარგარეთ პირველად ვიყავით ერთად და ისეთი მხიარული დღეები გავატარეთ, კინაღამ დავიჯერე ჩვენი ბედნიერება. გიორგიმ ჩაიცინა და თქვა: „ტელეფონის ნომერიც მიგეწერა ხელსახოცზე კოცნის ქვეშ...“ და ჰაერით გაბერილ პიტას დანა გაჰკრა. პური ჩვენი ბედნიერებასავით სწრაფად ჩაიფუშა და ოპტიკური ტყუილივით ბრტყელ ლავაშად გადაიქცა. მარსს პლუტონის სიმფონია ჩაენაცვლა. აღარ მახსოვს, როგორ დავასრულეთ ვახშამი. გაჯირვებით ვყლაპავდი ლუკმებს.

განვითარება წინასწარ ვიცოდი, უბრალოდ ძალიან მღლიდა ეს ყველაფერი, სასიცოცხლო ძალას მაცლიდა მარსის, პლუტონის, ნეპტუნის, ურანის ფაზები... ვენერას ჯერის დადგომამდე უკვე განადგურებული ვიყავი.

ჩემს ქმარს ყველაზე ლამაზად და სასურველად მივაჩნდი. ამაზე იმდენს და ისე ლაპარაკობდა, მაშინაც კი, როცა მახრჩობდა, მე საკუთარ თავს მისი თვალით ვხედავდი და მრცხვენოდა, რომ ინსტინქტურად ხელებს ვასავსავებდი და სიმწრისგან თვალები მექაჩებოდა. ტკივილის ღირსეულად ატანა ორი მიზეზით ვისწავლე: არ დამტკბარიყო ჩემი სისუტით ანუ არ მეღიარებინა დამარცხება და არ ვენახე სახედამანჭული – მე ყოველთვის ყველაზე ლამაზი და სასურველი უნდა ვყოფილიყავი. თავით ფეხამდე მის ომში ჩაბმული ვიყენებდი ყველა შესაძლო იარაღს, რის საშუალებასაც ჩემი სქესი და გიორგის წარმოდგენები მაძლევდა. ყველაზე დიდი თავდაცვა მაინც სისუსტე იყო – ცრემლი, – ასე ნაკლები მომხვდებოდა. დალურჯებული ადგილები გიორგის სულაც არ მიაჩნდა ჩემი სრულყოფილი სხეულის ხარვეზებად. ზოგჯერ პირიქით, სისხლჩაქცევა თეძოზე მისთვის ისეთივე ვნებისაღმძვრელი შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც ერთ-ერთ ფავორიტ პოზაში გაჭიანურებული სექსის შედეგად გადახეხილი და დაწითლებული მუხლები.

გიორგი გულმოდგინედ მიამებდა იარებს სიტყვით და ალერსით. პანამას ისე ფრთხილად მხდიდა, როგორც შიშისგან მაგიდის ქვეშ შემძვრალი ბავშვი გამოჰყავთ გარეთ. გიორგი თავს დამნაშავედ გრძნობდა, მე – დაზარალებულად... ის კომპენსაციას მიხდიდა და მეც დამსახურებულად ვიღებდი.

ცხოვრებაში პირიქით იყო. ომის მერე გიორგის მიმართ დანაშაულის შეგრძნებას მე ვეღარ ვიშორებდი. ომის ტრავმის პასუხისმგებლობას განუწყვეტლივ ვგრძნობდი. ალერსის დროს მხურვალედ ვუკოცნიდი ხილულ დაღს – მარჯვენა ფერდზე გრძელ მუქ ნაწიბურს. იარებს მარტო გიორგი კი არ მიშუშებდა, მეც ვუამებდი მთელი ჩემი არსებობითა და თვითშეწირვით.

სინდისი ასიდას და საერთოდ ყველა იმ ადამიანის წინაშეც მქენჯნიდა, ვისაც ომი შეეხო. არეულობის პერიოდში ბიძაჩემმა თბილისს გამარიდა და საზღვარგარეთ წამიყვანა. ჩემი ოჯახი რას აღარ აკეთებდა, რომ გიორგის გავშორებოდი. საქართველოში ბევრი ადამიანისთვის ყველაზე მძიმე პერიოდი მე ყველაზე არხეინად გავატარე. გიორგი ომში ჩემი საქციელით გამწარებული წავიდა (ახალგაზრდებს ხშირად პირადი მოტივაცია ამოძრავებდათ). ეს გვიან გავიგე... ომიდან დაბრუნებულ ქმარს უკვე თბილისში დავხვდი და მზად ვიყავი მეზღო მისი მიტოვებისთვის. დავივიწყე გიორგის ხასიათი, წარსული, დაუძლეველი სირთულეები და ყველაფერი ომს დავაბრალე. დავივიწყე ევროპული სიმშვიდე და სტაბილურობა, ადამიანის შეულახავი უფლებები და გაწონასწორებული

ურთიერთობები... ერთადერთი, რაც იქიდან შემომრჩა, ნაცრისფერი პანამა იყო და ისიც გიორგიმ სტამბოლში ევროპასა და აზიის შემაკავშირებელი ხიდიდან ვითომ შემთხვევით გადამიგდო...

ომი გიორგის დიდი და სამუდამო გამართლება გახდა.
ომი ამბავ „ასიდაშიც“ გადამწყვეტი აღმოჩდნა. ასიდას ქმარმა ვეღარ დახატა. ბავშვის დაბადებისა და ახალი წლის აღსანიშნავად დაწყებული ქეიფი ყოველდღიურ სმაში გადაეზარდა. რამდენჯერმე შეჩერდა, ორგანიზმმა უმტყუნა, მაგრამ მომჯობინებისთანავე ისევ დალია. ფხიზელიცა და მთვრალიც ერთსა და იმავეს იმეორებდა, „მე არავინ მომიკლავს... მე არავინ მომიკლავსო“. ასიდამ ქმარს ვერაფერი უშველა, ნანატრი დედა-შვილობით ისე ტკბებოდა, მასაც ბავშვივით უვლიდა.

პლანეტებიდან ერთადერთი, რის მოსმენაზეც თავიდანვე უარი ვთქვი, დედამიწა იყო. ჩვენს ცთომილს ყველაზე უცნაური სიმფონია ჰქონია. ნასას ჩანაწერებიდან ალბათ ეს ერთადერთი აღმოჩნდა ნამდვილი. ახლა, როცა მე, ამბავი „21“ აქ ვიმყოფები, შემიძლია ზუსტად ვთქვა – კოსმოსში სიჩუმეა. ცთომილები ანუ პლანეტები, რომლებზეც ჩვენ, ქალები, ვნაწილდებით, ხმებს არ გამოსცემენ. არიან მოხეტიალე ვარსკვლავები, რომლებიც კვალს ტოვებენ ხოლმე და არა ხმას. მე ყველა ვიცი, მე თვითონა ვარ მოხეტიალე, თავად ცთომილი, შეცთომილი და ცხოვრებას აცდენილი. როგორც უკვე აღვნიშნე, აქ დროც არაა დაყოფილი წარსულად, აწმყოდ და მომავლად...

დედამიწის მიყურადება მხოლოდ მასთან მიახლობით შეიძლება. ვცდილობ ავირიდო... ადამიანის ხმა ყველა სხვა ხმაზე გამჭოლი ყოფილა. ნებისმიერი მანქანისა თუ ტექნიკური გამოგონების, ბუნებრივი კატაკლიზმის, ცხოველების, ჭურვების, ქვემეხების თუ ატომური აფეთქების ხმაზე ძლიერი ადამიანის სხეულიდან ამოშვებული ტალღებია, ძახილი, ტირილი, კვნესა, სიცილი, ყვირილი. დედამიწის ხმაც სწორედ ამ ხმათა ნაკრებია, ერთი დიდი პოლიფონია, რომელიც შველას ძირითადად ქალებისა და ბავშვების პირით ითხოვს. შემზარავია.

გიორგისგან თავის დაღწევაზე ფიქრი უაზრო იყო. ჩემი ქმარი ამას არ დაუშვებდა. ომის მიტოვება არც მე მინდოდა და სარეცელის ოდესმე სხვათან გაყოფაზე ფიქრიც არ შემეძლო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერასდროს ვერავინ ისე ვერ მომეფერებოდა, როგორც გიორგი. ვნების ასეთი ხარისხი მხოლოდ ასეთი წრედით დგება: სასიკვდილოდ გამეტება-გონს მოგება-დაკარგვის შიში-მონანიება-მობოდიშება-ვედრება-სიყვარულის ხელახლა ახსნა-კონფლიქტისას გაუცხოეული სხეულის ახლიდან დაუფლება-ვნება-გზნება-ვნება... ეს გაურღვეველი წრედია, ტკივილიდან სიამოვნებამდე მავალი უმძაფრესი გზა, ყველაზე სახიფათო ბეწვის ხიდი.

დედამიწაზე ამას ვერასდროს ავუხსნიდი ვერცერთ მეგობარს ან რა საჭირო იყო... მათი ერთფეროვანი და უკიდურესად მოსაწყენი ცხოვრების შემყურემ ზუსტად ვიცოდი, რაც მქონდა. მე და გიორგის მოსაწყენად არ გვეცალა. ჩემი მეგობრების მოღალატე ქმრების მაგალითზე, გულწრფელად ვაფასებდი ქმრის ერთგულებას. თუ ოდესმე რამე მომხდარა, ალბათ მხოლოდ იქ, სადაც ვითარება საკუთარ კანონებს გახვევს თავს და გარემოება საკუთარ ტყვეობაში გამყოფებს. ისევ და ისევ ომში...

სინამდვილეში კი გიორგის ყველაფერი ჩემთან უნდოდა, ჩემთან, ჩემგან, ჩემთვის,ჩემით... სიყვარულიც, ომიც და სიკვდილიც.

ასიდას ქმარი სმისგან ისე შეიცვალა, დიდი ხნის უნახავი ადამიანი ვეღარც იცნობდა. უცვლელი მხოლოდ აკვიატებული ფრაზა დარჩა და ბოლო მომენტშიც სწორედ ამას უმეორებდა მის ხელებში ჩავარდნილ ასიდას, რომელიც ცდილობდა იარაღი წაერთმია გონებაარეული ქმრისთვის. კაცის ალკოჰოლით გაჟღენთილი, დამპალი სხეული კი საიდანღაც მოკრებილი ბოლო ძალებით შეკრულიყო, აკანკალებული, მოდუნებული თითების ნაცვლად მარყუჟები გამოესხა და ისე ჩაფრენოდა რევოლვერის ჩახმახს. გავარდა... ცის კაბადონს ტყვიის კი არა ასიდას ამოოხვრა მისწვდა და დედამიწის მრავალხმიანობას კანონზომიერად შეუერთდა. აკი ვთქვი, ყველაზე გამჭოლი ადამიანის ხმაა-მეთქი. ასიდამ და მისმა ქმარმა წამით ერთმანეთს შეხედეს, ერთმანეთს პირველად გაუსწორეს თვალი ომის შემდეგ... დასაკლავი მამლების რაოდენობას არაფერი დაკლებია, ახალი წლის დილას იმდენივეს წააცალეს თავი – ეს ტრადიცია ხომ სქესის მიხედვით ითვლიდა ადამიანებს – ტყვია ასიდას მოხვდა და ადგილზე გარდაიცვალა.

ჩემი ყურსასმენები გიორგიმ ტუალეტში იპოვა. მე იმ დროისთვის უკვე პლანეტების სიმფონიის დავიწყებას ვცდილობდი, მათგან გათავისუფლება მინდოდა... და იქნებ არა მხოლოდ მათგან... გიორგი შეშლილი შემოვარდა სამზარეულოში, ყურსასმენები სახეში მესროლა. გეგონებოდა, უპატიებელ ღალატში მამხილა. პლანეტებისთვის აღარ მომისმენია-მეთქი, ამოვილუღლუღე, მაგრამ გიორგის ჩემი აღარ ესმოდა. მატყუებო, კიდევ რას მატყუებ – ყველაფერს მატყუებო, ღრიალებდა გახელებული.

დედამიწის ხმოვან ვიბრაციას, მარტო მისი კი არა, ჩემი ხმაც შეერია – ბოლო ამოხრიალება. როგორ მომკლა გიორგიმ, ამ დეტალებს აღარ მოვყვები, რადგან მე სინამდვილეში ბევრად ადრე მომკლეს. ჯერ სახელიც კი არ მერქვა. სულ 21 გრამი ვიყავი, მაგრამ უკვე მქონდა ზედა და ქვედა კიდურები, რა თქმა უნდა, მიცემდა გული, მქონდა ნერვული სისტემა, მათ შორს ცთომილი ნერვი... მე მსხვერპლი ვარ, განაჩენი ექოსკოპიაზე გამხელილმა სქესმა გამომიტანა – გოგოა. მამა ქალიშვილის დაბადებას არც განიხილავდა, დედამ კიდევ რამდენიმე დღე

მატარა და მე კიდევ რამდენიმე მილიმეტრით გავიზარდე... მადლობელი ვიყავი იმ დღეებისაც, მე ყოველი დღის მადლობელი ვიყავი.

ჩვენ დაუბადებლად მკვდარი გოგოები მატყუარები არა ვართ, უბრალოდ მუდმივად ვცდილობთ გავიგოთ, რა იქნებოდა, დედას რომ აბორტი არ გაეკეთებინა, რა იქნებოდა, ორსულობა რომ გამოპარვოდა ან ექიმებს შეცდომით ეთქვათ სქესი და გადავრჩენილიყავით, დავეშვით დედამიწაზე. იმ პატარა კოსმოსიდან ნამდვილ კოსმოსში ადამიანთა პლანეტის გავლით მოვხვედრილიყავით. ჩვენც მოგვცემოდა ყველა ტკივილისა და სიხარულის გამოვლის შესაძლებლობა, რომელსაც თითქმის არასდროს აფასებენ ისინი, ვისაც ეს აქვთ. ჩვენც გვქონოდა ჩვენი ამბავი. გვქონოდა დრამატურგია და ამ დრამატურგიის შეცვლის შანსი.

დაუბადებელი გოგოები თავს ვირწმუნებთ, რომ დაბადება არდაბადებაზე უარესი იქნებოდა და დედა-მამა თუ არა, სხვა მოგვკლავდა მოგვიანებით... ჩვენ, გოგოებს, აუცილებლად მოგვკლავდნენ... ცთომილებს, სიცოცხლეს აცდენილებს, შეცდენილებს, კოსმოსში მოხეტიალე დაუბადებელ სულებს, უამბობისთვის განწირულებს...

ცხელი აგვისტოს 8

როინ აგრბა

2008 წლის ცხელი აგვისტოა. საინფორმაციო არხები უკვე რამდენიმე დღეა არ ჩერდებიან.

ომია.
ომი სადღაც აქვეა, ძალიან ახლოს... ქალაქიდან ათიოდე კილომეტრის მოშორებით. ხანდახან გგონია, რომ ბომბები კიდევ უფრო ახლოს ფეთქდებიან. ომის ექოს მთები წამში ავრცელებენ, თვით ყველაზე პოპულარულ ახალ ამბებსაც ასწრებენ მთების გამეორებული ომის ექოები, იმ ამბებს, ამ მოლაპარაკე ყუთს რომ მოაქვს.

ძალიან ახლოა ომი... ის თითქმის ზურგს უკან სუნთქავს.

ჩეხური ცხრასართულიანი სახლის აივანზე გოგა ნერვიულად ექაჩება სიგარეტს. აქედან, მეცხრე სართულიდან, მახათას მოშიშვლებული მთის ჩინებული ხედები მოჩანს.

ეზოდან, საძინებლის მხრიდან, ხმაური აღწევს. მანქანების აურზაურია. ადამიანები ნერვიულად აქუჩებენ თავიანთ ბარგს და მუხრუჭების ხმაურში, სახლებს შორის იკარგებიან.

ქალაქში პანიკაა.

„სად გაექცევით რუსულ თვითმფრინავებს, ან თუნდაც საკუთარ ბედისწერას?“ – ღიმილით გაიფიქრა გოგამ და ნერვიული ნაფაზი დაარტყა.

„ის თქვენ ყველგან დაგეწევათ! დებილებო, არ იცით, რომ თვითმფრინავზე სწრაფად ვერ გადაადგილდებით? ყველანი ეშმაკსაც წაუღიხართ! ისედაც განსაკუთრებულად არ მომწონდით! იმ პირველსადარბაზოელი ვახოს გარდა. ის

იმერელია, ჩვენია, დასავლეთელი, ვანელი ბიჭია. ის მეგრელი არაა, მაგრამ რა სხვაობაა? რაც არ უნდა იყოს, მაინც ჩვენია. ყველაფერი ისე იცის, როგორც საჭიროა. მეზობელთანაც ისე იქცევა, თითქოს, ღვიძლი ნათესავი იყოს. გულმხიარულია. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – სადღეგრძელოთა თანმიმდევრობა არ ეშლება. მაგარი ჯიგარი ბიჭია. მართალი იყო დუდა ბებია, როცა ამბობდა: „ყველაზე მაგარი ქართველი – მეგრელიაო“... ჩემთვისაც მეგრელი ცოლი უნდოდა. თუმცა, არ გამოვიდა რატომღაც. კახელი მოვიყვანე. მახსოვს, რა დიდხანს და ღრმად ეცნობოდა მას, აზუსტებდა გვარსა და წარმომავლობას. ეეჰ, საცოდავი დუდა ბებო. კარგია, რომ ამ ყველაფერს ვერ ხედავს.“

„არა, აქედან ნაბიჯსაც არ გავადგამ! მე ჩემს სახლში ვარ“...

„კარგია თუნდაც ის, ქეთინო თავის ბებიასთან რომაა, ბავშვებიანად. აქ რომ ყოფილიყო, ალბათ, ტვინს გამიბურღავდა. მაგრამ უცებ რომ დარეკოს? არადა, აუცილებლად დარეკავს. იქნებ, ტყუილი ვუთხრა? იქნებ, ჯობდეს ვუთხრა, ბიჭებთან ერთად თელავისკენ წავედი-მეთქი? არა! ის მიხვდება, რომ ვატყუებ, იმწამსვე მიხვდება. თან იცის, იმ მხარეს რომ არ მიყვარს მგზავრობა. მან ეს ძალიან კარგად იცის. კახეთში ჩვენი ბოლო მგზავრობის შემდეგ დავიგინე, რომ აქეთ არასდროს პირს არ ვიზამდი.

ჩემი ბიძაშვილი, მიხო, არაფრის გამო ამიშარდა. ანდა ასე ვის სმენია სადღეგრძელოების წარმოთქმა? ერთმანეთში აურია ყველაფერი. ან საიდან მოიტანა, კახელებზე კარგ ღვინოს ვერავინ აყენებსო? ასეთი იშვიათი ჯიუტი კაცია. თითქოს, დასავლეთში ჩვენ სულ კომპოტს ვსვამთ, აი!“

„ქეთინომ კარგად უწყის ჩემი ჯიუტი ხასიათი. თუ რამეს ვიტყვი, მერე არ ჩამოვდივარ ვირიდან. „ჩემო ჯიუტო ვირუკავ,“ – ჩვეულებრივ ასე მეფერება ხოლმე, როცა კარგ ხასიათზეა. ეს კი მაშინ ხდება, როცა შეფი რედაქციიდან შინ დროულად გამოუშვებს. ეს შეფ-რედაქტორი ვინღა არის? მაგარი საზიზღარი ტიპია! როგორც კი ქეთინო დაეთანხმა, რომ რედაქციაში მუშაობა დაეწყო, ზუსტად იმ წუთიდან არ მომწონს. ან ქეთინოს როგორ შეუძლია ამ შეფთან საერთო ენის გამონახვა? სიმართლე გითხრათ, ის თავისი მრგვალი სათვალეებით ლავრენტი პავლოვიჩს მაგონებს. მაგრამ, მეორე მხრივ, რა უნდა ექნა ქეთინოს? ოჯახი ხომ უნდა არჩინოს რაღაცნაირად? ჩემი მწერლური ჰონორარით შორს ვერ წავალთ. ჩემი ბოლო კრებულიც ორი წლის წინ გამოვიდა. ბავშვები კი იზრდებიან. აი, სოფიკო, უკვე 14 წლისაა. თან ამ ბავშვებს დღეს როგორი მოთხოვნები აქვთ? უნდათ იმ მსუქანი დეპუტატის გოგოს გაუტოლდნენ, რომელიც ამ მოლაპარაკე ყუთიდან არ გამოდის.“

„როცა ქეთინო გაჯავრდება, ჯიუტ ვირიკუნას მეძახის, მაგრამ სინამდვილეში სად

მე და სად ვირი? ვირები მაგათ იქ ჰყავთ, კახეთში. ჩვენთან ნამდვილი მერნები არიან. თუნდაც ჯაგლაგი იყოს, მაინც ცხენები ჰქვიათ. რად უნდა ამას ახსნა? მაგრამ ქალი მაინც ქალია. ჩემი ანგელოზების დედაა. უნდა მოვითმინო!“

დარბაზში მოლაპარაკე ყუთიდან ახალ ამბებს ხმამაღლა გადმოსცემდა შეღებილი ქერათმიანი.

„თავდაცვის სამინისტროს უკანასკნელი მონაცემებით რუსეთის ავიაციამ დაბომბა ქალაქი გორი. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები აგრძელებს სასტიკ ბრძოლებს...“

„რა ჯანდაბა გინდოდათ, იქ რომ მიძვრებოდით, მანიაკებო!“ – ისე შეჰყვირა შეღებილ ქერათმიანს ტელევიზორში, თითქოს ამ რეგიონში ის ემუქრებოდა მშვიდობას. შეღებილ ქერათმიანთან ასეთი „გასაუბრებით“, გოგა საკუთარი ქვეყნის მთავრობას უყვიროდა.

„შენ რა გეგონა, ყველაფერი გაგივიდოდა? იქით ტყვიამფრქვევს ისროდი და აქეთ შურდულით გიპასუხებდნენ? მართალია დედაჩემი - არ შეიძლება, ასეთ შეშლილს, როგორიც ეს ჩვენია, ძალაუფლება მისცე. რუსი ვანია მხოლოდ მიზეზს ეძებს, რომ ჩვენ აღვგავოს პირისაგან მიწისა, დაგვიმორჩილოს, მუხლებზე დაგვცეს. არ უნდა მისცე საბაბი და მშვიდობიანად უნდა იცხოვრო. ახლა რა გამოვიდა? რამდენ ტანჯვას და უბედურებას მოუტანს ადამიანებს ეს დაწყევლილი ომი? გიფიქრია ამაზე?“

ამ ფიქრებისაგან გოგას სული შეეხუთა. დივანიდან პულტი აიღო და ქერათმიანი ნერვიულად გამორთო. ეკრანი ჩაბნელდა.

„დიახ, აქედან არსადაც არ წავალ... არ წავალ! ქეთინოც რომ მეხვეწოს, ზღურბლს იქით ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამ. ეს შეჩვენებული ოკუპანტები ვითომ ამ უზარმაზარ მიკრორაიონში ერთი ღარიბი და უცნობი მწერლის ძებნას დაიწყებენ? ზუსტად მეტი საქმე არა აქვთ, მე მეძებონ. რომელი მშვიდობის მტერი მე ვარ? თუ, ვითომ, რუსის ჯარისკაცები სადარბაზოებსა და კორპუსებში დაიწყებენ სირბილს „მწერალი გოგა სად ცხოვრობსო?!“ სასაცილოა, რა. დავრჩები აქ და მორჩა!“

გოგამ სიგარეტი ამოიღო, აივანზე გავიდა და გააბოლა. ეზოში მანქანების ხმაური თანდათან მიწყნარდა. კორპუსის დარჩენილი მაცხოვრებლები ჩემოდნებს ეზიდებოდნენ. ისმოდა გადაძახილი. მანქანები ეზოდან გადიოდნენ და გზატკეცილს უერთდებოდნენ. სანამ გოგა სიგარეტის მოწევას დაამთავრებდა, ეზოში უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა. ძია ჟორიკას მაგიდაც კი დაცარიელდა, სადაც დროის ამ მონაკვეთში მეზობლები დომინოს თამაშს დარდს აყოლებდნენ ხოლმე.

ომის სურნელი უფრო საგრძნობი ხდებოდა. ის ძალიან ახლოს იყო, თითქმის ჩვენს გვერდით.

„არსადაც არ წავალ. მაგრამ ქეთინო ხომ ინერვიულებს? მან საიდან უნდა იცოდეს, რომ ოკუპანტები აქ არ მოვლენ? რომ მე მათ სულაც ვკიდივარ? ვეტყვი, რომ პირველ სადარბაზოელ ვახოსთან ერთად წავედი. მაგრამ საით? რაღაცა უნდა მომეფიქრებინა. რაიმე სიმართლისმაგვარი. სასტუმრო ოთახში, დივანზე, „ლინკინ პარკი“ აწკრიალდა. ეს გოგას ტელეფონი იყო.“

გოგამ სიგარეტი ბოლომდე მოსწია და ნამწვი აივნიდან ისროლა. მერე აუჩქარებლად მივიდა ტელეფონთან. მონიტორზე გამოჩნდა წარწერა: – „საგიჟეთი“. ქეთინო რეკავდა.

„სად ხარ?“ – იკითხა თითქმის ისტერიკამდე მისულმა ქალის ხმამ ყურმილში. „სად, სად?...შენ რა, გარითმულად გითხრა? – თავისებური ხუმრობით უპასუხა გოგამ.

„არ დაიწყო ახლა, აქ ვარო. წახვედი? ჭკუიდან არ შემშალო და არ მითხრა ახლა რომ სახლში ზიხარ!“ – თავის სტილში გააააგრძელა ქეთინომ.

გოგა შეყოვნდა. მართალი ეთქვა – ქალს სიგიჟის კარად მიიყვანდა. თან, ის ისეთი შეშლილი იყო, რომ დაუფიქრებლად შეეძლო კახეთიდან ფეხით ჩამოსულიყო.

„ჰო, ვახოს ველოდები მის გარაჟთან, მალე უნდა ჩამოვიდეს,“ – არადამაჯერებლად იცრუა გოგამ. მარცხენა თვალი მოჭუტა და კეფა მოიფხანა. – „კიდევ რამდენიმე წუთი და გავალთ.“

– „საით აპირებთ? რომელ მხარეს? არც იფიქროთ იმერეთისკენ წასვლა! შენ ტელევიზორს მაინც თუ უყურე დღეს?„ - აგრძელებს ქეთინო ისტერიულად. – „რუსებმა ყველა გზა ჩაკეტეს, ამბობენ, საღამოსკენ ტანკები ქალაქში შემოვლენო.“

– „დაწყნარდი, ქალო! არ წავალთ იქეთ, არ წავალთ. გიჟები კი არა ვართ,“ – სიცრუის აზარტში შევიდა გოგა.

– „სად მიდიხართ, კაცო, შეგიძლია მითხრა? თქვენ წასასვლელი არსად გაქვთ, თუ აზერბაიჯანში არ გადახვედით,“ – დაჟინებით იმეორებდა ქალი.

– „თქვენთან ჩამოვალთ, თქვენთან, ყველაზე ლამაზი ვირების სამშობლოში,“ – ხმამაღალი სიცილით უპასუხა გოგამ.

– „კარგი, მაშინ საღამოსკენ დაგელოდებით. მიხომ გადმოგცა, შენთან მეტს აღარ ვიკამათებო, „იმერლებსაც შეუძლიათ ღვინის დაყენებაო," – ასე გადმოგცა." – უკვე მშვიდი ხმით თქვა ქეთინომ.

საუბარი დაამთავრა თუ არა, გოგამ ტელეფონი ნერვიულად მოისროლა დივანზე და ჩაიბურტყუნა: „იმერლებსაც შეუძლიათ..." შემდეგ დივანზე გაითხლაშა და გააგრძელა: „აი, ჯინაზე არსადაც არ წავალ... და თვითონ დალიონ თავიანთი მჟავე ღვინო."

სანამ გოგა ქეთინოსთან ტელეფონზე საუბრობდა, მოციმციმე რუსულმა თვითმფრინავებმა მიკრორაიონის მოპირდაპირედ, მახათის გორაზე ბომბები ჩამოყარეს.

„ოჰ, თქვენი დედაც!... სულ მთლად... ოჰ, რამე ხომ არ ყლაპეს ნეტავ?" წამოსცდა გოგას რუსების დედის მისამართით. მას არც დოსტოევსკის ენა უყვარდა განსაკუთრებით და არც ამ ენაზე მოლაპარაკენი.

„აი, უნამუსოები, ჩვენამდეც მოფრინდნენ? ხომ ვამბობდი"... აქ ათასნაირი გინება წამოსცდა შეშინებულ მწერალს, რომელიც შეფარვით იმ მხარისაკენ იყურებოდა, საიდანაც საფრთხე იყო მოსალოდნელი.

მეორე ბომბი თვითმფრინავმა სხვაგან ჩამოაგდო. გრუხუნი შორიდან მოისმა. თავის გადარჩენის მიზნით გოგა დივანის ქვეშ შეძვრა, თან ორივე ხელით თავს იფარავდა.

რამდნიმე ხნით სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

– „და რა? ვიჯდე ახლა აქ, როგორც თაგვი და შიშისაგან უნდა ჩავიფსა ხომ? რაღაცა უნდა ვიღონო. მე ხომ მწერალი ვარ. ახლა უნდა ვთქვა ჩემი მწერლური სიტყვა. ასე ყოფნა არ შეიძლება!" - მტკიცე ხმით თქვა გოგამ. სამალავიდან გამოხოხდა, კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და როგორც ლომმა გალიაში, ოთახში ნერვიული სიარული დაიწყო.

უცებ, საიდანღაც, დაბინდულ გონებაში იოსებ ბროდსკის სიტყვებმა გაიელვა: „როცა რუსები უცხო ქვეყანაში ტანკით შედიან, ჯავშანზე წიგნები უდევთ."

„ეს წიგნები კი არა, ბომბებია. არა, ბომბებია, ძვირფასო იოსებ!" – გოგამ წიგნებით გადავსებულ თაროებს შეხედა, მოძებნა ბროდსკის წიგნების რიგი და როგორც მათემატიკის მასწავლებლებმა იციან, საჩვენებელი თითი დაუქნია: „ეს ბომბებია,

წიგნები კი არა, იოსებ!“ ასე ფიქრობდა მილან კუნდერაც 68 წლის „პრაღის გაზაფხულამდე“ – მან მკვეთრი მოძრაობით მათემატიკის მასწავლებლის თითი ჩეხი მწერლის ძლიერ მუშტად გადააქცია. დიდხანს აგინებდა რუს კლასიკოსთა ქმნილებებს ახალგაზრდა ქართველი კლასიკოსი. ამ პოლემიკის შედეგად გაჩნდა იდეა: დემონსტრაციულად გამოეტანა ეზოში რუსული კლასიკა და დაეწვა.

„შეჩვენებულო ოკუპანტებო! ახლა, თქვენ მე მიყურეთ! ცისფერი ალით როგორ დაიწვებით ჯოჯოხეთში!“ მონოლოგი არ დაემთავრებინა, რომ საქმეს შეუდგა. კარადას სკამი მიადგა და მოურიდებლად დაიწყო წიგნების გადმოყრა იატაკზე. მთელი რუსული ლიტერატურა, პუშკინის მეთაურობით ახალგაზრდა კლასიკოსის იატაკზე დახვავდა. ზედა თაროები მყისიერად დაცარიელდა და ჯერი ქვედა თაროებზე მიდგა. შეუბრალებლად მოფრინავდა ძირს მთელი საბჭოთა კლასიკა. უცებ, იქვე ხელი სტაცა დოვლატოვის წიგნს და შეჩერდა.

„ოჰ, შე ნაძირალავ, შენც აქ ხარ? ჰოდა, შენც სხვა დანარჩენებთან დაიწვები!“ ცოტა არ იყოს, დაიღალა ახალგაზრდა კლასიკოსი ამ რთულ გაწევ-გამოწევაში. სკამს უკუღმიდან გადააჯდა და დაუფიქრებლად გადაშლა წიგნი. თვალი ჩვეულებისამებრ სტრიქონებს გაეკიდა. ნაცნობი ფრაზები, წინადადებები, გვერდები. ფურცელი ფურცელს მისდევდა. სათაურები – სათაურებს. დაიღალა ასე ჯდომით. სათესლეები ასტკივდა. ფეხები დაუბუჟდა. მოსცილდა სკამს, სტრიქონებისთვის თვალმოუშორებლად მივიდა დივანთან და იქ ჩამოჯდა.

შეუმჩნევლად გაირბინეს წუთებმა, საათებმა. გოგა ვერ მოწყდა წიგნს, მიუხედავად იმისა, რომ წაკითხული ჰქონდა რამდენიმე წლის წინ. გათამაშდა სცენები სიუჟეტიდან. ისე გაერთო ახალგაზრდა კლასიკოსი კითხვით, რომ შეუმჩნევლად დაბნელდა კიდეც.

როცა სრულად დაღამდა და კირილიცას გარჩევა ვეღარ შეძლო, გოგა გამოერკვა, დაღლილი თვალები მოისრისა, წიგნი დივანზე დადო და ჩაფიქრდა.

„ეს სანამდე მივედი „ჯიუტი სახედარი“, წიგნების დაწვა გადავწყვიტე... და ამის შემდეგ სუფთა სინდისით საკუთარ თავს მწერალი ვუწოდო? ტრაგედია ისე-დაც დადგა, ომია... – ადამიანთა რასის ყველაზე სულელური გამოწვევა და ამ ტრაგედიისთვის ჩემი სისულელეც უნდა დამემატებინა. როცა ადამიანებს ხოცავენ – ეს ტრაგედიაა, მაგრამ როცა წიგნებს ანადგურებენ, ეს უბედურებაა, დიდი უბედურება!“

გოგა უხმოდ ადგა. თითქოს, მთელი კლასის წინაშე მისთვის დღიურში ორიანი ჩაეწეროს ვინმეს. ჩაქინდრული თავით წიგნების აღება და წინანდელ ადგილზე დალაგება დაიწყო.

„როგორ უნდა დამეწვა? ეს წიგნები საკუთარი ჰონორარით მქონდა ნაყიდი, რაც ყოველთვის ქეთინოსთან ჩხუბითა და დავიდარაბით მთავრდებოდა. „უკანასკნელი ფულით წიგნებს ყიდულობ, გეყოფა, რა!“ და ეს სულ ასე მეორდებოდა... უნდა დამეწვა ჩემი ერთადერთი სიმდიდრე, რაც დავაგროვე ჩემს ორმოც წელს რამდენიმე კუდით გადაცილებულ ასაკში. ჩემი „მწერლური გმირობის“ დემონსტრირება არავის წინაშე არ მინდოდა. არავინაც არ იყო, ყველანი დიდი ხნის წასულები იყვნენ. ამ მიკრორაიონში ჩემი, ჩემი სინდისისა და ჩემი წიგნების მეტი აღარავინ იყო დარჩენილი“.

„მე ჩემი სახლიდან არსად წავალ, მთლად რომ თვით ოკუპანტების გენერალიც ამოვიდეს ჩემთან“...

„ვახოსთან ერთადაც არსად წავალ... არც მათ კახეთში... და არც მათ მჟავე ღვინოს დავლევ.“

ვერტმფრენი

ტამერლან ტადტაევი

ინტელექტუალი ლაშა, ქართული ლიტერატურის ვარსკვლავი, წამოდგა თავმჯდომარის სკამიდან, გამოვიდა საკონფერენციო დარბაზის შუაგულში და თავისი მოელვარე სათვალის მიღმიდან გამოაცხადა:

– თუ არ დაღლილხართ, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი სავარჯიშო მოგცეთ: წყვილებად დაიყავით და ერთმანეთს მოუყევით ისტორიები იმ ომის შესახებ, რომლის უშუალო მონაწილეებიც იყავით. გასაგებია? – თქვა მან და თვალი გადაავლო იმ სამ მაგიდას, რომლის ირგვლივ ჩუმად ისხდნენ აფხაზი, ქართველი და ოსი მწერლები და გააგრძელა: – შემდეგ კი ყოველი თქვენგანი დაწერს ნოველას მეორის მონაყოლის მიხედვით.

აქ, რასაკვირველია, მწერლები ახმაურდნენ, რადგან ყველას აღელვებდა კითხვა, თუ რა დროს მისცემდა მათ მაესტრო ასეთი ნაწარმოების შესაქმნელად - ვფიქრობ, ერთი დღე გეყოფათ, – უპასუხა ლაშამ, მაგრამ თქვენ მთელი თავისუფალი საათი გაქვთ სადილამდე და ვინმემ შეიძლება კიდევაც მოასწროს დაწერა.

მე აფხაზი პოეტის, მომხიბლავი, ქერათმიანი გუნდას მეწყვილე ვიყავი. ის იჯდა ჩემს გვერდით და მიყვებოდა 1992 წელს ჩამოგდებული ვერტმფრენის შესახებ. მისი მონათხრობის უდიდესი ნაწილი ვერ გავიგე, რადგან 2008 წლის კონტუზიის შემდეგ ცოტათი დავყრუვდი. სიმართლე გითხრათ, მე თვითონ ერთი სული მქონდა მომეყოლა მისთვის, როგორ მომიხდა ეს. ვუყურებდი გუნდას ტუჩების მოძრაობას და იმაზე ვფიქრობდი, საიდან დამეწყო.

ალბათ, უნდა აღვწერო ის ადგილი, სადაც შევაღწიე ჩემს შვიდკაციან რაზმთან ერთად, რომელიც იმავე ღამეს დაიშალა. საწყენია, რა თქმა უნდა, მაგრამ დილისთვის ხუთსართულიან კორპუსში მცხოვრები მოხეული და ჯანიანი მარკის გარდა, ვერც ერთი ბიჭი ვერ ვიპოვე. სწორედ მარკმა მიგვიყვანა თავის ბინაში. გვავახშმა კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ სარდაფში დამალული მი-

სი მეზობლები უკვე ორი დღე-ღამის განმავლობაში შიმშილობდნენ და ერთიანად დასუსტებულები იყვნენ. ეს გასაგებიც იყო – დაბომბვის დროს ადამიანები დეპრესიაში ვარდებიან და თავზარდაცემულები ერთიანად ნთქავდნენ მომარაგებულ საკვებს, ხოლო ომისაგან მცირე შესვენებების დროს – ზევით სინათლეზე ამოდიოდნენ და იმედით შემომყურებდნენ მე და ახალგაზრდა, საკმაოდ ენერგიულ მარკს. ეს უკანასკნელი კი მთელი ამ დროის მანძილზე არ დამჯდარა. აქეთ-იქით დარბოდა და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახიდან, თუმცა, ფორმას მაინც არ იხდიდა. მეტიც, ტანზე კილომეტრიანი პატრონებიანი ლენტი ჰქონდა შემოხვეული. რაღაცით ჩემს თავს მაგონებდა 92-ში, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ მე ეშმაკივით გამხდარი ვიყავი და განუწყვეტლივ, მიზეზით თუ უმიზეზოდ ვისროდი, მარკს კი ჯერაც არ მოესინჯა თავისი იარაღი, თუმცა, მუდამ თან დაათრევდა, წმენდდა და ლულიდან მტვრის ნაწილაკებს სულის შებერვით აცილებდა. მაშინაც კი, როცა ვერცხლისფერი "ცხრიანი" ჩამოგვივიდა, მარკი ჯერ უკანა სავარძელზე მოთავსებულ იარაღს გადაწვდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ გამორთავდა ხოლმე ძრავს. აი, ასეთი მეგობარი შევიძინე რვა აგვისტოს და, გამოგიტყდებით, სულაც არ ვიყავი აღფრთოვანებული მისი გულღია საუბრებით... – გუნდა, მე მოგიყევით თქვენ, კორპუსის მცხოვრებლებმა როგორ გამოგვიგზავნეს დელეგატი ორი ცარიელი ტომრით ხელში და როგორ გვთხოვეს ამ თხისსულიანის პირით, რომ მე და მარკი პურის მოსატანად საცხობში წავსულიყავით?

– არა, – ძლივს გასაგონად მითხრა გუნდამ. ისეთი სახე ჰქონდა, ალბათ, გადარეულიც კი ვეგონე, თუმცა, არ შემეძლო თავშეკავება და გაჩერება ისევე, როგორც არ შემეძლო შემეჩერებინა ჩემი „ცხრიანი", რომლითაც ჩვენ ცეცხლწაკიდებულ ქალაქში დავქროდით და ბომბები ჩვენს კვალდაკვალ ფეთქდებოდა. მანქანას მინები აღარ შერჩა და ამიტომ ქარი სახეში – სნაიპერებისთვის საუკეთესო სამიზნეში გვცემდა. მანქანაში ასევე შეიძლებოდა შემოფრენილიყო როგორც ჭურვი, ასევე ბომბის ნამხსვრევი და კიდევ ბევრი სხვა რამ, რაც ჩვენ ხორცის ნაჭრებად გვაქცევდა. კინოთეატრ „ჩერმენის" ოდნავ ზევით მარკმა მანქანა დაამუხრუჭა და შესძახა: „მორჩა, მე მეტი აღარ შემიძლია", – ხელი დასტაცა იარაღს და მანქანიდან გადახტა.

მარკი უახლოეს ორსართულიან დაუმთავრებელ სახლში შევარდა. ასეთი სახლები კი ცხინვალში ბევრი იდგა. მე მას გავყევი და ოდნავ დავმშვიდდი, როცა შევამჩნიე, რომ სახლს ჭერი ბეტონისა ჰქონდა. ვიმედოვნებდი, რომ ჭერი პირველივე მოხვედრისას თავზე არ ჩამოგვექცეოდა. ასე გავიფიქრე, ავტომატი მოვიხსენი და იქვე, დაბალ, ხისგან უხეშად გამოჩორკნილ მაგიდაზე დავდე. აფეთქების ხმები სულ უფრო გვიახლოვდებოდა და ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა, ვიდრე მარკმა ავტომატის ჯერზე არ მიმაქცევინა ყურადღება. დასწყევლოს ღმერთმა, ისევ სნაიპერია, ერთი უნდა დაიჭირო ეგ წყეული და კარგად შეაჯანჯღარო და ყველა საიდუმლო გამოსძალო. სნაიპერმა კი თავისი საქმე ზედმიწევნით იცოდა. ის ჯერ

ჰაერში ისროდა ტრასერებს, შემდეგ კი იმ ადგილს, საიდანაც ისროდა, “გრადები” ფარავდნენ.

მე სახლში სარდაფის ან თავშესაფრის ძებნა დავიწყე, მაგრამ უშედეგოდ - ვერაფერს მივაგენი და მოვბრუნდი, მარკი კი იმ ოთახში შევიდა, რომლის ფანჯრებიც ქუჩას გადაჰყურებდა. სნაიპერს დაუწყო თვალთვალი, რომელიც კვლავ გააქტიურდა და ნერვებს გვაწიწკნიდა ავტომატის მოკლე ჯერებით. რამდენიმე ხანში ყველაფერი დაწყნარდა და სადღაც შორიდან ტამტამის ხმა გაისმა. ფუი, ეშმაკს, ისევ „გრადი”. დაგვერხა მე და მარკს. თუმცა, არა, მალე ყველაფერი მიწყნარდა და ჩაჩუმდა. ტფუი, ტფუი, რომ არ გავთვალოთ და ასე გაგრძელდეს. ამ ფიქრით გახარება ვერც კი მოვასწარი, რომ ეს ფიცრული სახლი აფეთქებისგან შეზანზარდა და ოხერი ჭერი თავზე ჩამოგვექცა. ისღა მახსოვს, თითქოს თავში ჩაქუჩი ჩამცხეს.

არ მახსოვს რამდენი დრო გავიდა, ვიდრე გამოვერკვიე. მარკს გავძახე, მაგრამ ის არ გამომეხმაურა. შესაძლოა, იმ ოთახში ჩაიმარხა, რომლის ფანჯრებიც აივანზე გადიოდა. კედლის ჩამონაქცევი თავზე თითქმის არ მეყარა, მაგრამ ჩემი ავტომატი სკამთან ერთად ნანგრევებქვეშ აღმოჩნდა. ავტომატის ღვედს ჩავაფრინდი, ჩემკენ გამოვწიე და ამოვათრიე ჩემი „კალაში” დაბრეცილი ლულით. ეს რაღას გამომადგება, – გავიფიქრე, – ეშმაკსაც წაუღია, როგორმე სხვას მოვძებნი. ახლა, მთავარია, ჩემს ტყავს მივხედო და ცოცხალი გადავრჩე.

ქუჩამდე გავაღწიე, მაგრამ აქ ნამდვილი აპოკალიფსი დამხვდა. ფეხქვეშ აფეთქების შედეგად აყრილი ასფალტის ნაგლეჯები და ლითონის ნამსხვრევები ეყარა. ცოტა მოშორებით, ცეცხლწაკიდებული საცხოვრებელი სახლი ჩამოიშალა, ხოლო მწყობრიდან გამოსულ ბოძებზე გაჭიმულ მავთულის სიმებზე ეშმაკმთავარი ჭკუიდანშემშლელ მუსიკას უკრავდა. ცოტა ხანს ვიტორტმანე. არ ვიცოდი საით წავსულიყავი, მაგრამ მალევე გადავწყვიტე თხრილში დავმალულიყავი. ის-ის იყო მოხერხებულად დავწექი მუცელზე – უკანალით ზემოთ, რომ ამ დროს ზემოდან ვიღაც დამეცა, თითქოს უნდა ვეხმარე.

– მე ვარ, მარკი – ჩამოაღწია ჩემამდე, – იცი, სნაიპერის ბუნაგი ვიპოვე, ცეცხლის შეწყვეტისთანავე მოვკლათ.

– კარგი, მოვკლათ, – გამიხარდა მეც და შევეცადე მარკი გადამეგდო ჩემი სხეულიდან. – მისმინე, ნუთუ არ შეგიძლია თვითონ წამოდგე, შენი ქვეშაგები ხომ არ ვარ! – თითქმის ვუყვირე.

– მოიცათ, თქვენ პური მოიტანეთ? – მოუთმენლად იკითხა გუნდამ.

– რა თქმა უნდა! მთელი ორი ტომარა. მაგრამ ჭამა არ შემეძლო, ვარწყევდი, ყურებიდან სისხლი მდიოდა... ასე ხდება ხოლმე ყოველთვის: ვიღაცა იმ პურს სანსლავს, რომელიც შენ მოიპოვე, თვითონ კი მშიერი დალასლასებ.

გუნდამ ყველაფერი ჩაიწერა. ვიმედოვნებდი, რომ დილისათვის ამ მასალისგან გულისამაჩუყებელ მოთხრობას დაწერდა. საინტერესო იქნება საკუთარი თავის გარეშე თვალით დანახვა. შენ, მაგალითად, თავი გმირად წარმოგიდგენია, სხვა კი შენი დანახვისას მხოლოდ ხელებს შლის და იფურთხება: აი, რეგვენი, ნამდვილი უჭკუო. მე კი მის სიტყვებს წავუყრუებ და მოვისმენ ჩემი მისამართით ნათქვამ არცთუ სასიამოვნო ამბებს. მართალია, ჩემი სმენა დაქვეითებულია და კონტუზირებულ თავშიც, თითქოს, ჭრიჭინების გუნდი ჩასახლებულა, მაგრამ თუ კარგად მივაყურადებ, ადვილად შემიძლია გადმოგცეთ, მაგალითად, რა-ზე საუბრობს მეზობელ მაგიდასთან ორი ბრწყინვალე პროზაიკოსი, დათო ტურაშვილი და როინ აგრბა. სიმპატიური ახალგაზრდები, ღმერთმა ორივეს ჯანმრთელობა მისცეს! მათ ერთი საათის განმავლობაში თითო ნოველის დაწერაც კი მოასწრეს. ეს ხომ ნიჭია! ეშმაკმა დალახვროს, მეც რომ შემეძლოს ასე, მაგრამ არ შემიძლია...

მე კვლავ კითხვებით ვაწვალებ გუნდას. გამოდის, რომ ვერტმფრენი ჩამოაგდეს? შიგნით ხალხი იყო?

– დიხ, – სევდიანად მიქნევს თავს გუნდა. ვერტმფრენში ოთხმოცი ადამიანი იყო. უმეტესად – ქალები და ბავშვები. მე გუნდასკენ უფრო ახლოს მივიწიე, მისი ნათქვამიდან სიტყვა რომ არ გამომპარვოდა. საწყენი იყო, რომ დიქტოფონი არ მქონდა თან. გუნდა, გეთაყვა, ცოტა ნელა, ვერ ვასწრებ ჩაწერას. სკოლაში ოროსანი ვიყავი. შეხედეთ, როგორი საშინელი ხელწერა მაქვს. სულაც არ არის ფაქტი, რომ ჩემი ნაჯღაბნის გარჩევა შევძლო.

– და რა დღე იყო?

– ზამთრის, – მიპასუხა გუნდამ.– მე სახლში ვიყავი, სითბოსა და სიმშვიდეში. და ფანჯრიდან ვუყურებდი თოვლის თეთრი ფანტელების ტრიალს. უცებ მომინდა გამეგო, როგორ ხრაშუნებს თოვლი ფეხქვეშ. შემეხედა ჩემი ნაფეხურებისთვის და უკან დაბრუნებისას კვლავ იმ ნაფეხურებში ჩამედგა ფეხი, როგორც ბავშვობისას. ჩავიცვი. ავიღე ცარიელი სათლი და ქუჩაში გამოვედი წყლის მილის გასწვრივ. დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა, რომ ორსულად ვიყავი.

– ხუმრობთ?

– რას ამბობთ, რა დროს ხუმრობაა.

– სად იყო თქვენი ქმარი? – ვკითხე და მისი მეუღლისკენ, როინისკენ გავიხედე, რომელიც უკვე საკონფერენციო დარბაზის ცენტრში სკამზე იჯდა და იმ ნოველას კითხულობდა, რომელიც მან დათო ტურაშვილის მონათხრობზე შექმნა.

– ომში, აბა სხვაგან სად უნდა ყოფილიყო? თუმცა, ეს არაა მთავარი. უბრალოდ, იმ დილით საოცარ ხასიათზე ვიყავი. ტურბინაში წყლის ნაკადის ჟღურტულის ხმაზე მე თოვლში ფეხშიშველი ვცეკვავდი. უცებ, საიდანღაც პატარა ბიჭმა, რომელსაც ყვითელი საციგურაო ქუდი ეხურა, თოვლის გუნდა მესროლა. მერე მეც ვესროლე

– ერთი სიტყვით, გავერთეთ. ასეთმა მხიარულმა და წითელლოყება ბავშვმა, რომელსაც წინა კბილები აკლდა, თვითონ მოიფიქრა ვედრო ჩემამდე მოეტანა, მაგრამ გზად წყალი დაეღვარა და ყელიანი ფეხსაცმელები დაუსველდა. ბიჭის სახლში შემოსვლა შევთავაზე, რომ წინდები და ფეხსაცმელები გაეშრო, მაგრამ პატარა ყაჩაღანამ მითხრა, რომ ვერტმფრენი მის გარეშე გაფრინდებოდა და გაიქცა. მე კარგა ხანს ვიჯექი ფანჯარასთან, შემდეგ ჩაი დავლიე კომშის მურაბით, ტელევიზორი ჩავრთე და დივანზე დავჯექი ახალი ამბების მოსასმენად... ჩამეძინა. ქმარმა გამაღვიძა. ის ოთახებში დარბოდა და რაღაცას ეძებდა. მომინდა მოვხვეოდი, მაგრამ უცებ მისი სახე დავინახე. რაღაცნაირად, დაკარგულივით იყო...

როინ აგრბამ თავისი ნოველის კითხვა დაამთავრა, სკამიდან წამოდგა და აპლოდისმენტების თანხლებით თავის ადგილს დაუბრუნდა. სახეშეფაკლულმა გუნდამ თავის მეუღლეს გაუღიმა.

– და შემდეგ რა მოხდა? – ვკითხე გუნდას.

– მან იპოვა თავისი სამხედრო ქურთუკი და გაიქცა. საღამოს კი ტელევიზორში აჩვენებდნენ როგორ აფრინდა ზუსტად ის ვერტმფრენი, რომელსაც შემდეგ ალმოდებული ჭურვი მოხვდა, მიმართულება დაკარგა და კვამლმოდებული ჩამოვარდა. იგი აფეთქდა. მაგრამ მე რატომღაც დამამახსოვრდა ხრახნი: გეგონებოდა, მის ლაპოტებზე ცეცხლოვანი ტყვიამფრქვევები იყო დამაგრებული – ისინი ბრუნავდნენ და ცეცხლის ჭავლს სტყორცნიდნენ ვერტმფრენში მყოფ ადამიანებს. კიდევ აჩვენებდნენ თოვლზე მწოლიარე დამწვარ გვამებს. ამოსაცნობად. ადამიანები უახლოვდებოდნენ გვამებს, ტიროდნენ, ახლობლებს კი ვერ პოულობდნენ. მე კი თეთრ თოვლზე უცებ პატარა შავი ლაქა ვიცანი. ჩემი ნაცნობი ბიჭუნა იწვა თოვლზე. გუნდას ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა და საუბრის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

გამოვედი საკონფერენციო დარბაზიდან, ნომერში ლიფტით ავედი. ტანსაცმელი გავიხადე და ფანჯრიდან ქუჩას გადავიხედე, რომელსაც ლამაზად გაშენებული,

ოქტომბრის მიუხედავად ჯერ ისევ სიმწვანეშერჩენილი ხეივანი გასდევდა. მშვენიერმა ამინდმა გუნება გამომიკეთა და გადავწყვიტე ცისფერი მოკასინები, ნაცრისფერი შარვალი და ცისფერზოლიანი სელის პერანგი ჩამეცვა.

გუშინ ზურა საყვედურს გამოთქვამდა, რომ ფორუმის ორგანიზატორებმა სტამბოლის განაპირა სასტუმროში დაგვაბინავეს. მაგრამ მე აქ მომწონდა. განსაკუთრებით, ცათამბრჯენები მხიბლავდა. მიყვარს თანამედროვე არქიტექტურა, თუმცა, ძველი უბნებიც მომწონს. სააბაზანო ოთახისკენ ფეხშიშველი წავფრატუნდი, წყალი მოვუშვი, ვიბანავე და თეთრი, გახამებული პირსახოცით გავიმშრალე ტანი. შემოსასვლელში, დიდი სარკეების წინ გამოვეწყვე, ჩანთა ავიღე, შევამოწმე თავის ადგილზე თუ იყო ყველაფერი და ნომრიდან გამოვედი. ერთ ძალიან ჯანმრთელ, საყურეებიან ზანგთან ერთად ლიფტით დავეშვი. ჩვენ ერთმანეთს გავუღიმეთ, შემდეგ ლიფტის სარკისკენ მივმართე მზერა და იმდენ ხანს ვათვალიერე საკუთარი თავი, სანამ კაბინის კარი არ გაიღო.

სასადილოში შესულმა ჩვენები დავინახე, ისინი ფანჯრის სიახლოვეს, გრძელ მაგიდასთან ისხდნენ. თეფშზე საჭმელი დავილაგე, მაგიდამდე მივაღწიე და ზურას გევრდით, ცარიელ სკამზე დავჯექი. ჩემს მოპირდაპირე მხარეს დათო ტურაშვილი იჯდა და კომშის მურაბას აქებდა. ამ ჩინებულ საზოგადოებას სასიამოვნო ვახშმობა ვუსურვე და ჭამას შევუდექი. თეფში მოვასუფთავე და არც ფორთოხლის წვენი ჩამიტოვებია ჭიქაში. სკამის საზურგეს მიყრდნობილი იმას ვფიქრობდი, კიდევ რა დამეგემოვნებინა, როცა მოკლეკაბიანი მიმტანი მომიახლოვდა ყავადანით ხელში და შემომთავაზა:

– კოფი, სერ?

– ნოუ, სენქიუ, - ვუპასუხე. მან გამიღიმა და იმ მაგიდისკენ გაეშურა, რომელსაც ხმამაღლა მოსაუბრე არაბები უსხდნენ.

სადილის შემდეგ ქართული ტელევიზიის კორესპონდენტმა, არ მახსოვს რომელი არხიდან, ინტერვიუ მთხოვა. ღრმად ამოვისუნთქე და მას გავყევი. ჰოლში, ერთ-ერთ სავარძელზე დამსვა და ვიდრე მისი თავგადაპარსული კოლეგა კამერას ასწორებდა, ჩემს ცისფერ პერანგზე ცხვრისკურკლისოდენა მიკროფონი მიამაგრა და ძლივს გასაგონად ჩაიბუტბუტა:

– იცით, ტამერლან, რვა აგვისტოს მეც ცხინვალში ვიყავი.

– მართლა? – ალმაცერად შევხედე მიკროფონს და შიგ ჩავბერე.

– დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ, ძლიერი სროლების დროს იქ გზა დამებნა, ჰაერში

ვისროდი, სიგნალს ვაძლევდი ჩვენებს, რომ მათი ყურადღება მიმექცია. ამ დროს, ძალიან ახლოს, ვერცხლისფერი „ცხრიანი" ხეს შეასკდა. იქიდან ორი მოხალისე ოსი გადმოხტა და მოპირდაპირე ორსართულიან კერძო სახლში შევარდა. რამდენიმე ჯერი კვლავ ჰაერში ვისროლე და დახმარების მოლოდინში ბუჩქებში ჩავწექი, მაგრამ დახმარების ნაცვლად ქუჩა, სადაც ვიმალებოდი, „გრადის" ზალპმა დაფარა. რაღაც სასწაულად გადავრჩი. როცა მტვერი გაიფანტა, შევამჩნიე, რომ დანგრეული სახლიდან ბანცალით გამოვიდა ერთი მოხალისე და ნაგავსაყრელ თხრილში ჩაწვა. მეორე, უფრო ჯანიანი, ტყვიამფრქვევით, ფანჯრიდან გადმოხტა, თხრილის მიმართულებით გაიქცა და თავის ამხანაგს ზემოდან დაახტა, თითქოს გაუპატიურებას უპირებდა. ყველაფერი დამავიწყდა ქვეყანაზე. ახლა მხოლოდ ისღა მინდოდა, მობილურით გადამეღო ეს ორი გეი, მაგრამ ჯანიანმა შემამჩნია, ფეხზე წამოდგა და ცეცხლი გამიხსნა. მისმა ტყვიებმა ჩემს ზემოთ ალუბლის ტოტები მოცელეს, მე კი არ ავაცილე და ის წაიქცა...

– ტამერლან, მზად ხართ? – მკითხა მელოტმა ოპერატორმა და კამერა დამიმიზნა.

– მარკი ცოცხალი გადარჩა, – ამოვიხრიალე მე და გაყინული ხელით დაცვარული შუბლი მოვიწმინდე.

გადამღებებმა ერთმანეთს გაოცებით გადახედეს.
– ცუდად ხართ? წყალი მოგაწოდოთ? – შეშინდა მელოტი.

– მარკი კამუფლიაჟის შიგნით ჯავშანჟილეტს ატარებდა და ჩვენ მოვიტანეთ პური...

ვიკი, სოხუმი, ბარსელონა

დათო ტურაშვილი

პირველივე კურსზე დავმეგობრდით.

გავიცანი თუ არა, მაშინვე.

ის სოხუმელი იყო და მე გუდაუთელი, მაგრამ ზოგიერთი აფხაზისაგან განსხვავებით, მასთან საუბარშიც კი არასოდეს მიგრძვნია, რომ ჩვენს შორის რამე განსხვავება არსებობდა. ჩვენსა და ქართველებს შორის კი ნამდვილად იგრძნობოდა განსხვავება, მაგრამ არა ისეთი, რომ ვინმეს ომზე ეფიქრა და ომის დაწყებამდე მისულიყო საქმე. სოხუმის უნივერსიტეტში ქართველი მეგობრებიც მყავდა.

თუმცა, ეს სულ სხვა მეგობრობა იყო და მაშინვე დაიწყო, როცა ერთმანეთი გავიცანით და პირველივე დღეს სახლში დამპატიჟა – დედაჩემი სადილზე გველოდებაო.

– ნამდვილად მეც დამპატიჟა? – გავიკვირვე გულწრფელად და არც მას დაუმალავს სიმართლე:

– დედაჩემმა მითხრა, ვინც სოხუმელი არ არის, ის წამოიყვანეო.

რასაკვირველია, უარი არ მითქვამს და, მგონი, სწორედ იმ დღიდან მყავდა ორი დედა – ერთი ჩემი, ნამდვილი, რომელთანაც შაბათ-კვირას ჩავდიოდი ხოლმე გუდაუთაში და მეორე კი ჩემი ახალი, სოხუმელი მეგობრის დედა, რომელსაც სინამდვილეში ყველას დედობა სურდა. ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად ისე მექცეოდა, როგორც საკუთარ შვილს და ჭამის დროს მეც ისეთივე ბედნიერი სახით მიყურებდა ხოლმე, როგორც თავის ერთადერთ ადგურს. ადგური დედისერთა იყო და შეიძლება ამიტომაც ეჩვენებოდა დედამისს, რომ მისი შვილი არასდროს გაიზრდებოდა, ასაკი არასდროს მოემატებოდა (მიუხედავად იმისა რომ უკვე

სტუდენტი იყო) და ადგურს, ახლაც, ისევ ბავშვივით ექცეოდა. როგორც კი ხელების დასაბანად აბაზანაში შევიდოდა, დედამისი გარედან უკაკუნებდა ხოლმე ადგურს და მისგან დაჟინებით მოითხოვდა საპნის გამოყენებას. ამის საპასუხოდ ჩემი ახალი მეგობარი ყოველთვის გაღიმებული გამოდიოდა აბაზანიდან და მერამდენედ მიხსნიდა, რომ, თურმე, ბავშვობაში, საპონს არ ხმარობდა ხოლმე და ისე იბანდა ხელებს და დედამისს კი ჰგონია რომ ის ახლაც ხუთი წლის არის და ხელებს მაშინდელივით უბრალოდ ერთმანეთს უცაცუნებს.

ადგური იქვე, უნივერსიტეტთან ძალიან ახლოს ცხოვრობდა (საკუთარ სახლში) და რამდენჯერაც ეგრეთ წოდებული ფანჯარა გვქონდა (ლექციებს შორის), თავისთან მეპატიჟებოდა. და რამდენჯერაც მივყვებოდი, დედამისი ისეთი ბედ-ნიერი სახით გვხვდებოდა, თითქოს პირველად უნდა გვესადილა მათთან. ყველაზე კმაყოფილი გამომეტყველება მაინც უშუალოდ სადილის დროს ჰქონდა. ადგური რომ კოვზს ან ჩანგალს მიიტანდა პირთან, დედამისს, ზოგჯერ, ცრემლიც კი მოადგებოდა ხოლმე და ერთხელ ისიც კი ვიფიქრე, ნეტავ, ყველა აფხაზი ქალი ასეთი მზრუნველი დედაა-მეთქი? ერთხელ სადილის დროს, პირდაპირ გვკითხა:
– ყველაზე ლამაზი გოგო მაინც ვინ არის?

– ჩვენს კურსზე, თუ საერთოდ უნივერსიტეტში? – ეს მე შევუბრუნე მას კითხვა, რადგან ადგურმა დედის შეკითხვა უბრალოდ ღიმილით გაატარა. უფროსი ადამიანის მომერიდა, თორემ მეც სიამოვნებით ავარიდებდი თავს ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, რადგან სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის ყველაზე ლამაზი გოგო ჩვენი კურსელი ვიკი იყო. ვიკი იყო ქართველი და არამხოლოდ მე და ადგურს – ორ აფხაზ მეგობარს, არამედ ჩვენს ყველა თანაკურსელ ბიჭს მოსწონდა. მეტიც, მგონი უნივერსიტეტის ყველა მამრს მოსწონდა ვიკი (განურჩევლად ასაკისა და ეროვნებისა) და ის მართლა ძალიან ლამაზი იყო. ის პირველი დღეც მახსოვს პირველ კურსზე, როცა აუდიტორიის კარი გაიღო და ვიკი (პირველივე ლექციაზე), დაგვიანებით შემოვიდა. კი არ შემოვიდა, შემოანათა და კი არ მოგვეწონა, მგონი ყველას ერთად შეგვიყვარდა ვიკი, რომელსაც ქართული გვარი კი ჰქონდა, მაგრამ აშკარად არაქართული სახელი ერქვა, თუმცა, ეს მაშინ, სოხუმში, არავის უკვირდა.

საერთოდ, სოხუმი მაშინ, ომამდე, ბაბილონივით ჭრელი და მრავალენოვანი იყო, მაგრამ ბაბილონისაგან განსხვავებით, სოხუმელები ერთმანეთს ადვილად უგებდნენ, რადგან აქ არსებობდა კიდევ ერთი, არაოფიციალური სოხუმური ენა. სოხუმური ენა იყო კომუნიკაციის საშუალება, რომლის შესახებაც მონაცემები არც ერთ ენციკლოპედიაში არ იძებნებოდა, მაგრამ ეს ენა ნამდვილად არსებობდა სოხუმში და ადამიანებსაც ერთმანეთის ნამდვილად ესმოდათ.

საბჭოთა კავშირში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს (და არა ხალხს), მაშინ სხვა

გზა არც ჰქონდათ - ყველაზე კარგ ომს, მაინც ყველაზე ცუდი მშვიდობა სჯობდა. ეს ფრაზა ერთხელ ვიკიმ მითხრა და იმიტომ დამამახსოვრდა, რომ მაშინ ჯერ კიდევ არავინ ფიქრობდა ომზე და მისი დაბადების დღე აფხაზებმაც სიამოვნებით აღვნიშნეთ. ცოტა კი გაგვიკვირდა, როცა ვიკიმ ჩვენც დაგვპატიჟა, მაგრამ ძალიანაც არ შევიმჩნიეთ და მე და ადგური საგულდაგულოდ მოვემზადეთ კიდეც და გამოპრანჭულებიც ვესტუმრეთ. საბჭოთა კავშირში კარგი ჩასაცმელიც დეფიციტი გახლდათ და ერთადერთი და ნამდვილი, რაც მაშინ, ოთხმოციან წლებში გაგვაჩნდა, ჯინსები იყო და ისიც ზღვის წყალობით – ჯინსებს ზღვა უცხოელი მეზღვაურების ხელით გვიგზავნიდა. ძვირი კი გვიჯდებოდა, მაგრამ სხვა გზა არც იყო – უნივერსიტეტის ყველაზე ლამაზი ქართველი გოგოს დაბადების დღეზე ორი შეყვარებული აფხაზი ბიჭი ჯინსების გარეშე ხომ არ მივიდოდით?

ვიკის მამა მაშინ რაღაც თანამდებობის პირი იყო (ქართველებს თანამდებობები განსაკუთრებულად უყვარდათ) და იმ საღამოს თვითონ თამადობდა კიდეც შვილის სტუმრებით სავსე სუფრას, ოღონდ, ვიკის ვიქტორიათი მიმართავდა.
მანამდეც ვიცოდით რომ ოფიციალურად და საბუთების მიხედვით ვიკის ვიქტორია ერქვა, მაგრამ ვინმეს რომ მისთვის ასე მიემართოს, არც მანამდე და არც მერე სხვა არავისგან გაგვიგია. თუმცა, იმ საღამოს, მამამისისგან კიდევ ბევრი უცნაურობა მოვისმინეთ და მათ შორის ისიც, თუ რატომ მოაწყო მისი ერთადერთი ქალიშვილი სოხუმის უნივერსიტეტის რუსულ და არა ქართულ ფაკულტეტზე – აქ რომ უნივერსიტეტს რუსულად დაამთავრებს, მერე სწავლას მოსკოვში, ასპირანტურაშიც რუსულად გააგრძელებს და მისი კარიერაც იქ დაიწყებაო. თბილისში რომ ცეკას მდივანი ვიქტორია სირაძე გვყავს, იმას არც კი დაესიზმრება ჩემი ვიქტორია ისეთ წარმატებებს მიაღწევს და თანაც ძალიან მალეო.

თუმცა, სულ მალე, გორბაჩოვის ეპოქა დაიწყო საბჭოთა კავშირში, რასაც კიდევ უფრო მალე, იმავე საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა და ვიკიც არა მოსკოვში, არამედ ბარსელონაში აღმოჩნდა. მგონი, მოსკოვში წასვლა, მამამისისგან განსხვავებით, მასაც არასდროს უფიქრია. ყოველ შემთხვევაში, იმ წერილებში, რომელსაც ბარსელონადან ვიღებდი ხოლმე, ვიკის მოსკოვი არც კი უხსენებია. გამუდმებით ბარსელონაზე მწერდა იმ წერილებში და გამუდმებით იმეორებდა, რომ ბარსელონა ძალიან ჰგავდა სოხუმს ან პირიქით – სოხუმი ჰგავდა ბარსელონას. ზღვასაც სოხუმის სუნი აქვს და ბარსელონასაც თავზე სოხუმივით ადგას მთა, რომელსაც ჩვენსავით ფუნიკულიორი ამშვენებს და, მოკლედ, თავი სახლში მგონიაო. თავიდან მეგონა რომ ვიკი მხოლოდ მე მწერდა წერილებს და როცა ერთხელ ადგურს ვუყვებოდი, თუ როგორ ჰგვანებია სოხუმი ბარსელონას, ისე გაეღიმა, რომ მაშინვე მივხვდი, რომ მე არ ვიყავი ერთადერთი გამონაკლისი, ვინც ბარსელონაში მოხვედრაზე ოცნებობდა. თუმცა, ბარსელონას ნაცვლად, ჩვენ ომში მოვხვდით და როცა ომი დაიწყო, ვიკის წერილებიც შეწყდა, ყოველ

შემთხევაში, მე მისგან აღარაფერი მიმიღია და ადგურისთვის კი ვიკისთან დაკავშირებით მერე აღარაფერი მიკითხავს. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცოდი, ის იყო, რომ ადგური, უკვე წერდა ლექსებს (ომის დაწყებამდეც) და მპირდებოდა კიდეც მათ წაკითხვას იმ თეთრი რვეულიდან, რომელიც ბოლო დროს მუდამ თან დაჰქონდა. ის თეთრი რვეული სინამდვილეში ბლოკნოტს უფრო ჰგავდა თავისი ზომით, მაგრამ ადგურისთვის მთავარი მოცულობა კი არა, ფერი იყო, რადგან მისთვის ასე ძვირფასი „ბითლზების“ შემოქმედებიდან ყველაზე მეტად მაინც „თეთრი ალბომი“ უყვარდა.

როცა გავიგე რომ ადგური მძიმედ დაჭრეს, იმ ღამეს გუდაუთაში ვიყავი, მაგრამ მანქანა მაინც ვიშოვე და საავადმყოფოშიც იმ ღამესვე ჩამოვედი, თუმცა, ცოცხალს ვეღარ ჩამოვუსწარი და მორიგემაც ადგურის გვარის გაგონებისთანავე მოკლედ და რუსულად მითხრა – он уже в морге.

მორგის შენობა საავადმყოფოს ეზოში მოშორებით იდგა. მის გვერდით შენობას კი, საიდანაც მკაფიოდ ისმოდა ახალდაბადებულის ტირილის ხმა, აშკარად სამშობიაროს ფუნქციაც ჰქონდა და იმ წამს გავიფიქრე კიდეც, რომ ასე ახ-ლოს, ერთმანეთის მეზობლად თანაარსებობდნენ სიცოცხლე და სიკვდილი. უპირველესი, რაც იმ უკანა შენობაში შესვლისას ვიგრძენი, იყო სიკვდილის სუნი და მხოლოდ ამის მერე დავინახე ადგური, რომელიც შუა ოთახში, მაგიდაზე იწვა. უფრო სწორად კი დავინახე მისი სხეული საშინელ სიჩუმეში და ის სიჩუმე უცებ დაარღვიეს ჩემმა ცრემლებმა, რომლებიც ქვის იატაკზე ხმაურით ეცემოდნენ და ასე ხმამაღლა, ბოლოს, მგონი, ბავშვობაში ვიტირე.

მერე გამახსენდა რომ ადგურს აუცილებლად თან ექნებოდა თავისი განუყრელი თეთრი რვეული. უფრო ახლოს მივედი მასთან და ჯერ გარედან ვცადე მისი მოძებნა, მერე ჯიბეებზეც დავადე ხელი და უცებ მომეჩვენა რომ ადგურს პულსი ჰქონდა. მომეჩვენა კი არა, მისი ხელი ნამდვილად თბილი იყო და მის პულსსაც ნამდვილად ვგრძნობდი და საშინელმა ჟრუანტელმაც ისე დამიარა მთელ სხეულში, რომ საკუთარი კანის ტკივილმა შემაშინა. ალბათ, ძალიან ვყვიროდი, რადგან ვიღაც თეთრხალათიანი კაცი ძალიან მალე გაჩნდა საიდანღაც ჩემს გვერდით და ჩურჩულით მითხრა, რომ ექიმი იყო და ჩემს დამშვიდებასაც თითქმის ჩურჩულით შეეცადა:

– ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე, როცა ახლობელი ადამიანი კვდება, უფრო სწორად კი, ის უკვე გარდაცვლილია და ჩვენ კი მაინც გვეჩვენება, რომ მას პულსი ჯერ ისევ ესინჯება და ის ჯერ კიდევ ცოცხალია...

– იქნებ, მართლა ცოცხალია, – შევაწყვეტინე გაუბედავად და თეთრხალათიანმა ისევ ჩურჩულით ამიხსნა:

– ტყვია პირდაპირ გულში აქვს მოხვედრილი, ექიმი ვარ და უნდა დამიჯეროთ, ის უკვე მკვდარია.

სუნთქვა კიდევ ერთხელ შემეკრა. მერე კვლავ გამახსენდა თეთრი რვეული და ექიმსაც ვუთხარი, რასაც ვეძებდი.

– შარვლის ჯიბეში უნდა ნახოთ. – მირჩია მან.

ახლაღა დავაკვირდი ადგურის სამხედრო შარვალს, რომელსაც ორივე მხრიდან დიდი ჯიბეები ჰქონდა გარედან დაკერებული და ლექსების თეთრი რვეულიც სწორედ იქ, მარცხენა ჯიბეში აღმოვაჩინე. უფრო სწორად კი, ადგურს შარვლის მარცხენა ჯიბეში ედო ჩემთვის კარგად ნაცნობი ბლოკნოტი, რომელიც ოდესღაც კი არა, სულ ახლახანს, აგერ, ომის დაწყებამდე, თეთრი ფერის იყო. მაშინვე გადავფურცლე. ზუსტად იმ ერთადერთი ნათურის ქვეშ ვიდექი, რომელიც შუა ოთახში, ჭერიდან იყო ჩამოშვებული და ამიტომაც პირველივე გვერდზე ადვილად ამოვიკითხე მიძღვნა, რითიც ადგურის ლექსების კრებული იწყებოდა – „დედა, ეს შენ გეძღვნება და ჩემი საჩუქარია შენთვის, ოღონდ, მინდა იცოდე, რომ მე უკვე გავიზარდე, დიდი ბიჭი გავხდი და ხელების დაბანის დროს საპონსაც კი ვხმარობ. მინდა ისიც იცოდე, რომ სადაც არ უნდა ვიყო, მაინც ყოველთვის შენთან ერთად ვიქნები, რადგან ზუსტად ვიცი, რომ ყველაზე მეტად, მაინც შენ გიყვარვარ...“

როცა ტირის ბავშვი

გუნდა საკანია

ჩემმა 106 წლის ბებიამ გრძელი და საინტერესო ცხოვრება განვლო. მან ყველა ის ომი გადაიტანა, რომელიც შეიძლებოდა მისი ცხოვრების მანძილზე მომხდარიყო. ეს ომები მას სრულებით არ უშლიდა ხელს, რომ იუმორი და სიცოცხლის სიყვარული შეენარჩუნებინა. მისი დილა იწყებოდა ერთი სირჩა აფხაზური ჭაჭა აჟახ-უატკით, ამ ცხელი ნახადით, რომელიც მის სხეულს დილიდანვე განსაკუთრებული ენერგიით მუხტავდა. და, რა თქმა უნდა, ფინჯანი მაგარი ყავით სიგარეტთან ერთად. თამბაქოს არომატი მას მყისიერად შორეულ ახალგაზრდობაში აბრუნებდა.

თამბაქოს კვამლქვეშ, მოგონებათა სიმყუდროვეში, ჩუმად იძირებოდა. იქ, ნირვანაში, საკუთარ თავთან რჩებოდა, იქ მისთვის არავის შეეძლო ხელის შეშლა. იქ იხსნებოდა საკუთარი ცხოვრების თეატრის ფარდა, სადაც ერთდროულად მთავარი როლის შემსრულებელიც იყო და მაყურებელიც.

ერთხელ ვკითხე: ნანუ, როგორ არის ასი წლის შემდეგ, როგორ ეწყობა ცხოვრება? მან ბავშვივით ოდნავ დაბნეულმა მიპასუხა და ატირდა. ჩემს თვალწინ იგი მარტოხელა, თეთრ ფრინველად გადაიქცა, რომელიც, თითქოს, სადაცაა ცაში აფრინდება და არასოდეს დაუბრუნდება დედამიწას.

„გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ აღარ დარჩნენ ჩემი თანატოლები, რომლებთანაც გულღიად საუბარი შემეძლო. მხოლოდ მათ შეეძლოთ ჩემი მოსმენა და გაგება. ისე, წინ ხომ მთელი მარადისობა მელოდება....გასაოცარია, რომ ჩემი სიცოცხლის დაისზე დღეები უფრო გრძელია, ღამეები კი – დაუსრულებელი. მე დავიღალე სიცოცხლით და მოლოდინით. მინდა მდუმარედ, განმარტოებით ვილოცო“.

რამდენიმე დღის შემდეგ, სისხამ დილით, თეთრი ფრინველი მოფრინდა და კიდევაც გაფრინდა. მაშინ მასთან ერთად ბებიაჩემის სულიც ისე გაფრინდა,

თითქოს არაფერი მომხდარიყოს... მხოლოდ რაღაც 106 წელი გასულიყო. მე კი თავს კვლავ ბავშვად ვგრძნობდი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ჩემი ცხოვრების ხუთ ათეულ წელს ვითვლიდი.

იმ დილით ტიროდა ბავშვი...

როცა მოხუცებული კვდება, ბავშვი ტირის...

ბავშვის ტირილი. ვერტმფრენის ხმა. უფრო ზუსტად, მისი ხრჭიალის ხმა, რომელიც ვერტმფრენს ცეცხლისმფრქვეველ არსებად აქცევს, რომელიც საუკეთესო ჭაბუკებს და ქალიშვილებს თვალის დახამხამებაში ნთქავს.

თითქოს დრო შეჩერდა.

ასე მგონია, 93-ის 14 დეკემბერი ისე ჰკიდია ჩემი მახსოვრობის ცაზე, რომ ეს შეგრძნება განუწყვეტლივ ბრუნდება და არ მტოვებს.

ისე მცივა, როგორც არასდროს. სიკვდილი ძალიან ახლოს მოცოცდა! ვგრძნობ მის ცივ სუნთქვას. მგონია, რომ დრო სამუდამოდ მოგონებებში ჩარჩა. მინდა დრო მოვატრიალო, რომ უკან, ბავშვობაში დავბრუნდე. იმ სამოთხისებურ დილაში, როცა მშვიდობიანად ვცხოვრობდი, სადაც არც ომი იყო და არც ომის შიში არსებობდა. სადაც უბრალოდ ცხოვრება იყო, სადაც ყველას უყვარდი და ყველა გელოდა.

14 დეკემბერს პირველი თოვლი მოვიდა, ოდნავ მოყინა. გაჩნდა აუხსნელი შიში. სიცივის და სისხლის სუნი, ასევე სუნი ომისა და ცრემლის. გაისმა მოტირალთა სულისშემძვრელი ხმები.

გადაბუგული გვამები ჩანან თეთრ ზეწარზე, როგორც სამსხვერპლოზე მოციალე სანთლები. მკივანა, არაადამიანური ტკივილი, რომელიც თანდათანობით ქვად აქცევს ადამიანს. როცა იყინება ცეცხლიც და წყალიც. როცა ცრემლი სისხლად იქცევა და სისხლი ცრემლად.

რა შეიცვალა ამ განზომილებაში? არაფერი. ომი არ იცვლის სახეს, არ იხსნის ცივ ნიღაბს სახიდან.

ცხინვალი. მთავრობის სახლი. ომი.

ადამიანები ლოდინში გარინდულან. უიმედობის განცდა იზრდება. თუმცა, თითოეულს ბოლომდე მაინც არ სტოვებს იმედი. ადამიანებს სჯერათ, რომ ომი არ იქნება. მაგრამ ომი არავის არაფერს ეკითხება და ის რეალურია. განიცდი. ფეხქვეშ

მიწა გეწვის. და უნებურად მებრძოლი ხდები. ამ დროს შენ მარტო არ ხარ. შენს უკან ნათესავები, ახლობლები და საყვარელი ადამიანები არიან. ყველაფერი ის, რაც შენს ცხოვრებას წარმოადგენს. ჩამოვიდა „მსოფლიოს გადამრჩენი“, ჩვენი „სულთა გადამრჩენი“. განუჭვრეტელი შევარდნაძე. თან მშვიდობა ჩამოიტანა. გამოცოცხლდნენ მომლოდინეები. დაფაცურდნენ ახალგაზრდები.

ამ დროს მომიახლოვდა დიდი ხნის მეგობარი ზივ-ზივი. ამ წუთას იგი ვეფხვს ჰგავდა, ოღონდ, უკუდო ვეფხვს, ზოლების გარეშე. ის აქეთ-იქეთ დარბოდა. მოლოდინში ყველა გაისუსა. მივხვდი, რომ ჩემს მეგობრებს შევარდნაძის მძევლად აყვანა უნდოდათ – მშვიდობის მძევლად... სად იყო მისი შეპირებული მშვიდობა?...

ამ აურზაურში, სანამ მასზე თავდასხმას გეგმავდნენ, ის გაძვრა თავმოყრილ ხალხს შორის, ჩაჯდა თავის თეთრ მანქანაში და გაუჩინარდა. სულ რაღაც ერთ საათში კი ცხინვალის დაბომბვა დაიწყო.

მე შიშით ვფიქრობდი იმაზე, თუ რა მოაქვს თითოეულ ადამიანს ამ სამყაროში და რითი მიდის. მინდოდა მენახა იგი ბავშობაში, დამენახა მისი სახე, თვალები, გამოხედვა. გამეგონა მისი ხმა, სიცილი, მისი ტირილი... მენახა ქალი, რომელმაც მას სიცოცხლე აჩუქა. მომესმინა, როგორ უმღეროდნენ „იავნანას“. მინდოდა მე-ლოცა მისთვის. მხოლოდ ის მინდოდა, რომ ღმერთს იგი ბავშვობაში დაეტოვებინა, რათა ბოროტება არ ჩაედინა და სუფთა და უდანაშაულო დარჩენილიყო... უბრალო ბავშვად. რომ დედებს არ ეტირათ დახოცილი შვილების გამო, რომ ცოლებს ქმრები ომში არ გაეცილებინათ, რომ, უბრალოდ, არ ყოფილიყო ომი.

ვერტმფრენის ხრჭიალის ხმა. მე ვიყავი იმ საშინელი ტრაგედიის მოწმე, როცა დამწვარი სხეულები თეთრ ზეწარზე ესვენა, როგორც ჩამქრალი სანთლები... სიტყვებით შეუძლებელია იმის გადმოცემა, რასაც განვიცდიდი. ამ საშინელების წინააღმდეგ უსუსურობის გამო გინდოდა გეყვირა. ვერტმფრენის ზრიალი დღესაც ყველგან თან მდევს. ის ჩემს გულშია, ყურებშიც, სულშიც. ვერტმფრენის ხმა...

ეს უზარმაზარი ცეცხლოვანი ტიტანი, რომელიც უმოწყალოდ ნთქავს თავის შვილებს. მისი მკაფიო ხმა, როგორც გულში ნასროლი, ყოველი ჩვენგანის გულში მოხვედრილი. ხმა, რომელიც ცდილობს მოსპოს წარსულის ხსოვნა. მაგრამ ის უმწეოა ისევე, როგორც ჩვენ ვართ უმწეონი ხსოვნის წინაშე. შეუძლებელია წარსულის დავიწყება. ის ჩვენ ნელ-ნელა გვკლავს.

როცა ტირის ბავშვი - კვდება მოხუცებული. როცა მოხუცი იღიმის - ბავშვი იბადება. და რისთვის მოდის იგი ამქვეყნად?!

ვილოცოთ, რომ მშვიდობისთვის მოვიდეს.

უკან დასახევი გზა არ არსებობს

თამარა ტერაშვილი

ომის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი იმაში
მდგომარეობს, რომ ადამიანები, ბოლოს და ბოლოს,
გმირობაზე გულს იცრუებენ.
კ. ვონნეგუტი

ასე, ექვსი წლის წინათ სერიოზულად დავავადდი. ჩვენთან ხომ ექიმები უმწეონი არიან. ეს ნაკლებად ეხება მათ უნარ-შესაძლებლობებს, საქმე უფრო იმაშია, რომ ისინი, უბრალოდ, თავისი დროის პროდუქტს წარმოადგენენ. თუმცა, ვითარების არსი ამით არ იცვლება. ისინი მთელი ძალით ცდილობდნენ, დამხმარებოდნენ... მაგრამ არ იცოდნენ, როგორ...

დედა ყოველ ჯერზე დაღონებული იდგა მათ გვერდით და საკუთარი უძ-ლურებისაგან დღითი დღე სულ უფრო და უფრო მეტად ეუფლებოდა უიმედობა...
– მას დასვენება ესაჭიროება, – ერთადერთი რეცეპტი, რომელსაც ექიმი აუცი-ლებლად მინიშნავდა ყოველი შემოვლის შემდეგ, ისე, თითქოს ამას აუცილებლად უნდა გადავერჩინე. ასეთ მომენტებში უჩუმრად ვადევნებდი თვალს დედაჩემს, რომლისთვისაც ეს სიტყვები მისთვის გამოტანილი განაჩენივით ჟღერდა.

ამ პერიოდში ჩემს უსაყვარლეს საქმიანობას ძილი და სიზმრების ხილვა წარ-მოადგენდა. ძილში ყველგან შემეძლო გადაადგილება, საითაც მოვისურვებდი. შევძელი კონტინენტის მთელი აღმოსავლეთ ნაწილი შემომეარა და, ბოლოს და ბოლოს, ანგკორ-ვატში მოვხვდი, თუმცა, იმ დროისათვის უკვე ძილშიც კი მოვასწარი დამეკარგა მისდამი ინტერესი. ვიყავი აფრიკაში, იქ, სადაც ადრე ვცხოვრობდი. ჯანმრთელი და ახალგაზრდა, გრძელთითება ზანგი ქალი ვიყავი. ხშირად ვხედავდი სიზმარში ჩემს ხელებს. ისინი მუქი ყავისფერი იყო, ხელისგულები კი, თითქოს, ცარცით დაფარული მქონდა. ამის გარდა, რაღაც ქალაქშიც ვიყავი, ჩვენს ადგილებში, კავკასიაში. ზღვებს შორის. თუმცა, ვერ ვიხსენებ, რომ ასეთი ქალაქი არსებობდეს მსოფლიოს რუკაზე. მგონი, იქ ყველაფერი სხვანაირად იყო – ქალაქები, ქვეყნები.

ერთხელ კი ვხედავ სიზმარს... გავედი ჩვენი ბინის შუშაბანდიან აივანზე ეზოში გადასახედად. რატომღაც ერთი ფანჯარა ცუდად იხურებოდა და ანჯამებით ჩარჩოზე გაჭირვებით ჩამოკიდებული, რაღაცნაირად განწირულად და მძრ-

წოლვარედ ჩაკიდულიყო სხვების გვერდით. ახლოს მივედი, მაგრამ არა ფანჯრის გამო, არამედ იმიტომ, რომ ჩემი ყურადღება უცნაურმა რამემ მიიპყრო. უცნაურმა და შემზარავმა. ფანჯარა მხოლოდ ამ რაღაცეების მომასწავებელი იყო... მარჯვნივ ჩრდილოეთ ჰორიზონტზე მხეცის სილუეტი გამოიკვეთებოდა, რომელიც ძალიან ჰგავდა ლომს. სილუეტი დაბურულ-ალისფერი იყო, უფრო იმის გამო, რომ იქვე... მზე ჩაესვენებოდა. რა უცნაურია! იგი იქ არ ჩადის, სადაც უნდა ჩავიდეს... ეს სურათს უფრო შემაშფოთებელს ხდიდა. თანდათან სილუეტზე პატარა მხტუნავი წერტილები გამოიკვეთა. თითქოს რწყილები დახტოდნენ ლომის ფაფარზე. რწყილებმა ელვის სისწრაფით იწყეს გამრავლება, სულ უფრო და უფრო ბევრი ხდებოდა და გარკვეული დროის შემდეგ სურათმა ჰორიზონტიდან ქალაქისკენ იწყო გადაადგილება. რწყილებმა ფაფრიდან ქალაქისკენ იწყეს ხტუნვა და მოახლოვებისას ფოლადის ვეება ურჩხულებად იქცნენ. ამასთან, ასეთი ურჩხული თითო ნახტომით ორ ან სამ კვარტალს გადაევლებოდა. ცისფერ-ვერცხლისფრად მოლაპლაპე მათი ჯავშანი თუ კანი, რომელიც უფრო ლითონის შენადნობს მოგაგონებდათ, მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა ქალაქის წყნარ სურათთან. ყველა მათგანი არ იყო ერთნაირი, ეს მაშინ დავინახე, როდესაც მათ ციდან ქალაქზე პირდაპირი გაგებით, ცვენა იწყეს. ზოგს რქები, გრძელი ბრჭყალები და ეშვები ჰქონდათ, სხვები ცაში დაფრინავდნენ პატარა ფარფლებით, რომლებიც ფრთებს მიაგავდა. ქვევიდან ჩანდა, თუ როგორ აწვიმდა ისინი ქალაქს. ერთმა მათგანმა ფანჯარას ჩაუფრინა. ბარბაცით დავიხიე, მაგრამ უმალვე უკან დავბრუნდი და გადავიხედე. ბავშვები. ქვემოთ, ჩვენი კორპუსის სიახლოვეში ბავშვები თამაშობდნენ. ჩვენი მრავალსართულიანი სახლი ქუჩაზე ბოლო იყო, მის იქით ერთსართულიანი კერძო სახლები იწყებოდა. სწორედ ერთ-ერთი მათგანის ეზოდან მოდიოდა ბავშვების ხმები. საფრთხის აუტანელი გრძნობა! რაღაცამ გადაწყვიტა, რომ ამგვარ სიტუაციაში ეს ჩემთვის ძალიან დიდი სტრესი იყო. გამეღვიძა. შფოთვით აღვსილი მოწყენილობის მომწარო გრძნობა დამეუფლა, როგორც ფილმის ნახვის შემდეგ.

ბოლო თვეების განმავლობაში ჩემი ცნობიერება მიეჩვია რეალობაში აუჩქარებლად, ნელა დაბრუნებას. გვიან გაღვიძება დამჩემდა. ჩემი საათი აირია. არსად ვიყავი წასასვლელი და შემეძლო ძილ-ღვიძილში მეხილა ყველაფერი დედამიწის ზურგზე, დღეში 24 საათის განმავლობაში, ამასთან, ჭამა და საპირფარეშოში გასვლაც არ მავიწყდებოდა. საპირფარეშოში გასვლები საკმაოდ გასართობ საქმედ მექცა ბოლო დროს, რადგან იქ სხვებს გავყავდი, ამიტომ ეს მთელი დღის განმავლობაში, ფაქტობრივად, ერთადერთ მოძრაობას წარმოადგენდა, რაც რაღაც გასეირნებასავით მექცა. აი ასე. ასე ეგუება ადამიანი ახალ, შეზღუდულ სივრცეს.

ძალზე ცოტასღა ვკითხულობდი. თვალები მგრძნობიარე გამიხდა. იმდენად, რომ მანამდე მეღლებოდა, ვიდრე წიგნით დაინტერესებას მოვახერხებდი. ამიტომ

ყველა წიგნი, გარდა „ბავშვების ჯვაროსნული ლაშქრობისა“, რომლის კითხვას მაინც არ ვეშვებოდი, დედამ თაროებზე დააბრუნა.

როდესაც იგი იმ დილით შემოვიდა, რაღაცნაირად ჩუმი, მაგრამ გახარებული ჩანდა. დარდი მომაწვა იმის გამო, რომ მას იმედი გაუჩნდა. მას უსიცოცხლო, მოკლედ შეკრეჭილი თეთრი თმა შუბლზე ეხვეოდა და უკან ჰქონდა გადავარცხნილი. ნაზი შემოხედვა ჰქონდა. თუმცა, მის თვალებში ნაპერწკალი იმწუთასვე ჩაქრა, როგორც კი ჩემი დაჟინებული მზერა დაინახა.

– დიდი ხანია გღვიძავს?

– ჰო, – ვიცრუე...

– რატომ არ დამიძახე, როგორ ხარ?

– აი, ვკითხულობდი და, – ვუპასუხე დაინტერესებულმა. იგი წუხდა, რომ სულ ასე ვიყავი – რაღაცნაირად განყენებული. მას ეშინოდა, რომ, შესაძლოა, ერთ დღესაც აღარ გამოვსულიყავი ამ მდგომარეობიდან. ამიტომ ჩემი მოქმედებების თუნდაც მცირე მიზანმიმართულობაც კი მასში იმედს აღვივებდა, რომელსაც იგი მთელი ძალით ეჭიდებოდა. ჩემი თავი მძულდა იმის გამო, რომ ტკივილს ვაყენებდი. ბრძოლა მის სულში რაღაცნაირ გროტესკულ ხასიათს იღებდა. გვერდით მეჯდა, რაღაცაზე ლაპარაკობდა და ზოგჯერ მისი თვალები რაღაც საზეიმო, შეიძლება ითქვას, დიდებულ შუქს აფრქვევდნენ. შფოთვა და მარტოობა მეუფლებოდა. ასეთ მომენტებში ის იყო ავადმყოფი. ეს უცნაური, იმქვეყნიური ელვა მის თვალებში, გაშეშება...

იგი არასდროს აძლევდა თავს წარსულის მოგონებებში გადაშვების უფლებას. ყოველთვის მოიტოვებდა რაიმე სახალისო ისტორიას საღამოსთვის. რამდენადმე არაბუნებრივს. ნაძალადევი მხიარულება ყოველთვის ისე მძიმედ ეძლეოდა, რომ, გეგონებოდა, მზად იყო, მოეცელა მომდევნო თხრობისას. მე მას ვუსმენდი, ვიცინოდი და იმედიც ოდნავ იზრდებოდა.

იმ საღამოს დედა სამუშაოდან ჩვეულებრივზე გვიან დაბრუნდა. მხოლოდ ფეხსაცმელი გაიძრო ნაჩქარევად და ოდნავ აჩქარებული სუნთქვით პირდაპირ შემოსასვლელიდან შემოვიდა ჩემს ოთახში...

– დე, სალამი! – როგორც შემეძლო, ვიცრუე. მაგრამ ბოლო ბგერა დაიხშო და ყელში ჩამეკარგა. რამდენიმე თვის განმავლობაში იგი პირველად ვნახე ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო. სიჩქარეში დაავიწყდა ჩვეული იერის მორგება და მთელი თავისი დაღლილობა გააშიშვლა. მისი მოუსვენარი თვალები სულ

იმის ცდაში იყვნენ, რაზე გაეჩერებინათ მზერა, თუნდაც რაიმე ილუზიაზე, და ვერაფერს აგნებდნენ. მისი ნერვიული მოძრაობები და ხშირი სუნთქვა სიგიჟეს ჰგავდა. ამ მომენტში მარტო დავრჩი. ის შემოვიდა, ღიმილი ბაგეზე ძლივს უჩერდებოდა, ტუჩის კუთხეებს ვერ იმორჩილებდა. თვალები დაღლილობისგან უელავდა. სუნთქვა უჭირდა, მაგრამ ცდილობდა, გარშემო დიდი ფაციფუცი არ აეტეხა, ეშინოდა ჰაერის შერხევისა, თითქოს ამას ჩემს ჯანმრთელობაზე შეეძლო გავლენის მოხდენა.

– ოჰ, ვჩქარობდი...

– რატომ? – ვეღარ მოვითმინე.

– უბრალოდ, სამუშაო დამიგროვდა, წლის ბოლოსთვის ანგარიში უნდა მოვამზადო და ამიტომ მომიწია...

– დედა! მე ჯერ არ ვკვდები! აქ ვარ და თანაც – ცოცხალი!
მან ისე შემომხედა, თითქოს ჩემი სიტყვები არ დაიჯერაო.

– ჩემო გოგონა, რას ამბობ?!

– კმარა! თუ ექიმებს არ შეუძლიათ დახმარება, მაშინ კმარა თავის მოტყუება, თითქოს ყველაფერი კარგად იქნება...

მახსოვს, ვცდილობდი, რომ წყნარად მელაპარაკა. და ყველაფერ ამისადმი ასეთივე დამოკიდებულება მქონოდა. მაგრამ ძლიერ ვღელავდი და ჩემს სიტყვებს კანკალი დაჰკრავდა. იგი გაშეშდა. სასოწარკვეთილებამ, რომელსაც იგი ასე იკავებდა ამ ბოლო დროს, გარეთ გამოხეთქა და ის ატირდა. მაგრამ ყველაფერმა ამან ვერ შემაჩერა. პირიქით, ხმას ავუწიე და სიტყვებს მკვეთრად, ხაზგასმით გამოვთქვამდი. მეჩვენებოდა, რომ მისთვის ახლა მის ცრემლებზე მეტად მნიშვნელოვანი აღარაფერი იყო.

– შენ მთელი ამ დროის განმავლობაში არ ცხოვრობ, გესმის?! რაც უფრო დაჟინებით იტყუებ თავს, რომ ყველაფერი მოგვარდება, მით უარესად ხდები დღითი დღე. თუ გჯერა, რომ უკეთ გავხდები, რაღაც უნდა გავაკეთოთ. ამის ნაცვლად შენ ყოველ დილით სასწაულს ელოდები, რომ მე ავდგები და ეს ყველაფერი დასრულდება.
ჩემი ხმა მშვიდად ჟღერდა...

– კი მაგრამ, მე რა ვქნა?
ამ კითხვამ მოთმინებიდან გამომიყვანა.

– თქვენი თაობა სრულიად სიცოცხლისუუნაროა, ურწმუნო და მონური! გარე პირობებისადმი შიშსა და მორჩილებაში გაიზარდეთ! ჩემს ბედსაც ასევე შეეგუე. იცი, რატომ იყო ომი, რატომ დაკარგე მშობლიური სახლი, შენი ახალგაზრდობა?! რადგანაც თქვენ გასწავლიდნენ, რომ თქვენზე ზემოთ იზრუნებენ. და თუ არა – ამასაც არა უშავს. მთავარია – სულის განაბვა და ლოდინი. იქნებ, არაფერი ცუდიც აღარ მოხდეს. თუ გარშემო ყველა ამბობს, რომ ომი იქნება, თქვენ მაინც იმედი გაქვთ, რომ, იქნებ, თქვენ ეს არ შეგეხოთ. იქნებ, შენს ძმას არ შეეხოს, რომელსაც ის მაინც შეეხო. და ის გადარჩება, როდესაც შუაგულ ცეცხლში ატეხს კალაშნიკოვიდან სროლას შიშის მოსაგერიებლად. და მაშინაც კი, როდესაც მისგან ნაკუწიც აღარ დარჩა, თქვენ მაინც ელოდით, რომ ამას როგორმე გადაიტანთ. გადაიტანეთ კიდეც... შემდეგ ჯერამდე.

– ახლა იმას ელოდები, რომ მეც გადასატანი გეყოლები. ლამისაა იმას ელოდები, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს, სანამ თმენის ძალა შეგრჩენია... შენ უკვე მზად ხარ, გადაიტანო ეს ყველაფერი! მე სიცოცხლე მინდა და სანამ აქ ვარ...

გავჩუმდი. ძალა არ მეყო ავტირებულიყავი. ღმერთმანი! ამ მომენტში მზად ვიყავი, სული განმეტევებინა! სიბრაზესთან არეული წყენა მაძლევდა ძალას! მინდოდა ყველასთვის მეყვირა, შემეჯანჯღარებინა ისინი, რადგან მათ გადაწყვიტეს დროზე ადრე აეწიათ ხელები!

დედას მზერა გაშტერებოდა, ის ტიროდა. როდესაც ოდნავ დაწყნარდა, ჩამოჯდა ლოგინზე და ხელი ფეხზე დამადო. ამ მომენტს ყოველთვის ველოდი. როდესაც წამლები აღარ მოქმედებს, ხელის უბრალო შეხებასღა ელოდები, როგორც პანაცეას.

– ბიძაშენი წავიდა, მას თავისი ომის სწამდა, სჯეროდა, რომ ამაოდ არ იბრძვის, არამედ იდეისათვის. კარგია თუ ცუდი, რომ რაღაცისთვის მოკვდა – არავინ იცის. ვერავინ ამიხსნის, რატომ იხოცებიან ერთნი და სხვები კი დიდხანს ცხოვრობენ. კარგი ადამიანები რომ დიდხანს ცხოვრობდნენ, ცუდები კი კვდებოდნენ – ჩავთვლიდი, რომ მსოფლიო სიგიჟემ მოიცვა. რადგანაც არ არსებობს კარგები და ცუდები. ყველა ადამიანია. ამიტომაც არ შეიძლება თქვა, კარგია თუ ცუდი, როდესაც ერთნი ომში ახალგაზრდები იხოცებიან, მეორენი კი – თბილ ლოგინში, ღრმად მოხუცებულნი. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვიტიროთ, ჩვენ არასდროს ვართ მზად მათ გასაშვებად.

მისი დარდი და სახის რაღაცნაირი ბავშვური გამომეტყველება მას კიდევ უფრო გიჟურ იერს ანიჭებდა. მას თავისი ახალგაზრდობა გაახსენდა, ის, თუ როგორ ჩარჩა სოფელში, ბებიასთან ომის დაწყების წინ, მაშინ, როდესაც მას პერსპექტივა გააჩნდა, მისივე სიტყვებით, ბუდაპეშტში ესწავლა.

მას რამდენჯერმე ჰქონდა მონაყოლი ამ შემთხვევის შესახებ. აგვისტოს მიწურული. იგი მხოლოდ 19 წლისაა და მშობლებისაგან შორს თავისუფალი და ხალვათი სტუდენტური ცხოვრების მოლოდინი. და უცებ - ომი! იმაზე ფიქრი, რომ მისი მეგობრები, რომელთაც პერსპექტივების მხრივ ნაკლებად გაუმართლათ და, შესაძლოა, საერთოდაც უსწავლელნი დარჩენილიყვნენ, უბრალოდ წარ-მოუდგენელი იყო და სასოწარკვეთას ბადებდა. გარდა ამისა, შესაძლებელი იყო, მას საერთოდაც ვერ გამოეღწია სოფლიდან, რომელშიც სამხედრო ბაზა იყო განლაგებული და რომელთანაც აპირებდნენ ომს. მას არასდროს დაავიწყდება ოფიცერი ამ ბაზიდან, რომლის კამკამა ცისფერი თვალებიც არც თუ სუფთა აზრებით აღვსილი უცქერდნენ მას მაშინ. რა იყო ეს? მუქარა? ან, იქნებ, მისი საკუთარი შიში აირეკლებოდა ახალგაზრდა ოფიცრის თვალებში? ეს ყოველთვის ჭეშმარიტების მომენტია, გაიგო, თუ რა იყო ეს მაშინ – რეალური საფრთხე, თუ საკუთარი შიში? ამ კითხვაზე პასუხი თვით ომსაც კი განსაზღვრავს.

იგი მხოლოდ 19 წლის იყო და ცხოვრება სწყუროდა, ისევე, როგორც ახლა. სწავლა, ცხოვრებით ტკბობა, ამის ნაცვლად კი – სოფელში გამეფებული გაურკვევლობა. გარდა ამისა, მან უკვე შეიტყო, რომ მისი მეგობარი ჯარში მოხალისედ წავიდა და ამის გამო ჰაერში ვეება ლოდები ეკიდა, რომლებიც მას ცოცხლად დამარხვით ემუქრებოდნენ.

მას ბავშვობიდან ასწავლიდნენ, რომ კაცები მამაცები უნდა იყვნენ, მას კი სურდა, რომ ისინი მხდალები ყოფილიყვნენ, ოღონდ კი ცოცხლები გადარჩენილიყვნენ. ამისთვის იგი თვითონაც მზადაა, მათ გაუტოლდეს. მას აშინებდა ის აზრი, რომ ოდესმე მოუწევდა ყვავილების დადება რომელიმე მეგობრის საფლავზე. ასეთ წუთებში მას თვითონაც უნდოდა, მამაკაცი ყოფილიყო – სასოწარკვეთისა და მათი გადარჩენის სურვილის გამო.

ეს ღამე რთული იყო. სიცხემ ამიწია. ბოდვა დამეწყო. მწვანით შემოსილი მთები მესიზმრა. ჩემს თავს ვხედავდი, ჯანმრთელი ვიყავი, ბილიკს მოვუყვებოდი, მაგრამ როგორც კი შევირხეოდი და ნაბიჯს გადავდგამდი, ყველაფერი გარშემო აშრიალდებოდა და მწვანე ბალახი გველივით მიხოხავდა აქეთ-იქეთ. მეშინოდა, ფეხი არ დამებიჯებინა მათთვის, ისინი ყველგან იყვნენ და ყველა ჩემს მოძრაობაზე ისინიც მოძრაობდნენ. გველები, ყველგან გველები.

სადღაც სახლებსა და ქუჩებს შორის აღმოვჩნდი, სადაც აშკარად გაცხოველებული ვითარება სუფევდა. დანგრეული ქუჩები და სახლები. ხალხი აქეთ-იქეთ დაძრწის. გვერდით დანგრეული სახლი დგას, სადაც ყველაფერი ჩანს, რაც კი რამ იყო მის შიგნით. რატომღაც ჩენს წინაშე სააბაზანო წარმოისახა, მთელი და უვნებელი. დანარჩენი დანგრეულიყო. უცებ აბაზანიდან ქალის თავი გამოჩნდა, შემდეგ თვითონაც, ჩაცმული, მაგრამ მთლად საპნიანი. საპონი ზედ შეხმობოდა, რაც

მას ძლიერ დისკომფორტს უქმნიდა, ის კი წამდაუწუმ იშმუშნებოდა ყოველ მოძრაობაზე იმის გამო, რომ კანი დაეჭიმა.

– აი! – თავს იმართლებდა ის, – მინდოდა დამებანა, ომისთვის მოვმზადებულიყავი... ამ სიტყვებთან ერთად კუთხიდან ადამიანი გამოვიდა და დაიყვირა: „ვინ ახსენა აქ „ომი“. სდექ!“ გავშეშდი. ქალი აბაზანიდან ასევე გაირინდა.

– ადგილიდან არ დაიძრა! – კაცმა, რომელსაც თეთრი მაისური - „ალკოგოლიჩკა“ ეცვა, პისტოლეტი მოგვიშვირა. გვაიძულა ერთიმეორეს უკან დავმდგარიყავით და ხელებაწეულები წინ წავსულიყავით. თუმცა, მან რატომღაც არ მოითხოვა, რომ მე ამეწია ხელები. ვითომ არც კი მქონდა ისინი. ძილში თვითონაც ვერ მივაგენი ჩემს ხელებს.

ცოტა რომ გავიარე, შემოვბრუნდი და პისტოლეტს ჩავეჭიდე. პასუხად მან რაღაცნაირად მოუქნელად დაიწყო მისი თავისკენ ქაჩვა. ეს სცენა სათამაშოს გულისთვის ორი ბავშვის ჩხუბს მოგაგონებდათ. რაღაც მომენტში პისტოლეტი ხელიდან გამისრიალდა, მან სწრაფად მოახდინა რეაგირება და გვერდზე გამხტარმა გაისროლა. ცისფერმა თვალებმა გაიელვა, მათ სამი ტყვია მოჰყვა. მაგრამ როგორც კი ისინი ლულიდან გამოვარდა, სივრცეში გაიყინა. და გარშემო ყველაფერი გაირინდა. ტყვიები, როგორც შენელებულ გადაღებაში, ისე მომიახლოვდა და მძიმე ტყვია მიწაზე დაეცა. ქვევით დავიხედე. მიწაზე აბაზანიდან გამოსული ქალის სხეული ესვენა.

ჯერ არ გათენებულიყო, როდესაც ამ საშინელი სიზმრიდან გამოვერკვიე. იმის საზიზღარი შეგრძნება მქონდა, რომ ჯერ კიდევ მომიწევს ყოველივე ამის გადატანა. ქალის სხეული გამახსენდა და მივხვდი, რომ უკან დასახევი გზა არ არსებობს...

ბელურა

მარიამ ხიდეშელი

ჰაერი დამწვარი რეზინის სუნითაა გაჟღენთილი.

სადარბაზოს კიბეზე ვზივარ და ვაყურადებ ხმებს, რომლებიც დროდადრო მეორე სართულიდან ისმის – ბიძია უსმენს რაციას და მე რატომღაც ველოდები, რომ იგი სადაცაა გამოვა და მეტყვის, რომ ომი დამთავრდა.

ჩემთვის, ახლა, აუცილებელიცაა ეს გარკვეულობა. არ ვიცი, რატომაა ეს ასე მნიშვნელოვანი. გარკვეულობის შემთხვევაშიც კი, რაც მოხდა, იმას ვერ შეცვლი. მაგრამ ჩემთვის ეს მნიშვნელოვანია, უბრალოდ, მნიშვნელოვანი. დავყურებ ფეხებს და ვფიქრობ, რომ აღარაფერი იქნება ისე, როგორც ადრე იყო. მაცვია თეთრი კედები, რომლებიც გასულ თვეში ვიყიდე და სასწავლო წლის დაწყებამდე არ ვაპირებდი ჩაცმას, ახლა კი ვფიქრობ – ღირს კი დაველოდო ომის დამთავრებას?

– ნუ ზიხარ კიბეზე, – ვტრიალდები და ვხედავ ბიძია ბირაგის ნაცრისფერ თვალებს. მას ხელში კარაბინი უჭირავს და ქვემოთკენ მიდის, – კიბე ცივია, გაიყინები, – მიღიმის ჩვეული ღიმილით და ერთი წამით მექმნება ილუზია, თითქოს იგი იმ საშიშ და სახიფათო სამყაროში კი არა, სასეირნოდ მიდის, თუნდაც, მეგობრებთან ლუდის დასალევად, ხოლო საღამოს დაბრუნდება ახალდაკრეფილი მარწყვის კალათით და ჩვენ ვისაუბრებთ დილამდე.

– ჰეი, – იგი უკვე გასავლელთან დგას და მომიტრიალდება, – ზრდილობისთვის მაინც მომაჩვენე, რომ მისმენ! – ვუღიმი პასუხად და ვდგები, ის კი თვალს მიკრავს. – მომავალ შეხვედრამდე, ზარინა! – იგი თვალს ეფარება, წამიერად თვალს მოვკრავ მბზინავ კარაბინს მის ხელში და გავრბივარ მის კვალზე, მაგრამ იგი უკვე ბიძია შამილის მანქანაში ჯდება და მიემგზავრება. რატომღაც მინდა დავუძახო, რომ ახსარმა, ჩემმა უფროსმა ძმამ, ვერ მოასწრო მისი თოფის კარგად გაწმენდა და არ შეიძლება მისი ასე წაღება, მაგრამ ვერ ვასწრებ ამ სიტყვების თქმას –

თითქოს გუნდა მეჩხირება ყელში და მეჩვენება, რომ ვიხრჩობი.

– ზარინა! – აივანზე დგას დედა, გაწამებული და დაღლილი. – შემოდი სახლში! – მიუხედავად იმისა, რომ სახლში სულაც არ მინდა, თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ და ავდივარ ზევით.

ახსარი მაგიდასთან ზის და ხელში ძველ გაზეთს ატრიალებს. იგი მოთენთილი და უძილო ჩანს, თუმცა, ყოველ საღამოს ადრე მიდის დასაძინებლად. ზოგჯერ ვუყურებ და ვერ ვცნობ, იგი ადრე მუდამ მხიარული ბიჭი იყო, რომელიც პირს არ აჩერებდა, მაგრამ ახლა სულ დუმს, ბოლო დროს ხშირად ჩაფიქრებული და გაუცხოებულია, თითქოს ჩვენ მის გარშემო არც ვართ.

– ბიძია უკვე წავიდა, – რაღაცნაირი ჩახშული ხმით ვეუბნები და ახლოს მივდივარ, მაგრამ ახსარი არ მიყურებს და მზერა სხვა მხარეს გადააქვს.

– ვიცი, – ცივად მპასუხობს და მეც კვლავ ვგრძნობ გუნდას, რომელიც, თითქოს, ისევ ყელზე მადგება.

– რატომ არ ჰკითხავ, სად იკარგება? ეს არ სჯობს, ვიდრე მის ქურთუკზე საათობით მიშტერება? – ვეშვები მის წინ, მაგრამ სულ ერთია, ის მაინც არ მიყურებს.

– ჩემთვის სულ ერთია.

– ეს ასე არ არის! – ვცდილობ ვაიძულო, რომ შემომხედოს, მაგრამ ამაოდ.

– ოღონდ, ახლა არ არის საჭირო ტვინი ისევ მომიწამლო იმაზე ლაპარაკით, რომ ჩვენთან ომია... – იგი თითქმის მყისვე ღიზიანდება, დგება და გაზეთს იატაკზე აგდებს.

– მაგრამ ჩვენთან მართლა ომია! – ვყვირი მეც და ადგილიდან წამოვხტები.

– როგორ არ გესმის, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენ ყველა მაინც ჩავძაღლდებით! – მის ხმაში იმდენი წყენა და ბოღმაა, რომ მინდა ყურებზე ხელები ავიფარო.

– ეს ასე არ არის, არა, არ არის... ნუ ამბობ ასე! – ვყვირი და ვგრძნობ, რომ კიდევ ცოტაც და ვიტირებ წყენისა და ტკივილისგან.

– ეს დროის ამბავია, ზარინა! ერთი დღით ადრე, თუ ერთი დღით გვიან, სულ ერთია, ჩვენ მაინც მოვკვდებით ამ დაწყევლილ მიწაზე, რაღაც სულელური იდეალების დასაცავად, რომლებიც სინამდვილეში არავის სჭირდება! – ახსარი შემომხედავს

და ამ სიტყვებს დანებივით მესვრის – თითოეულ დარტყმას საკუთარ კანზე ვგრძნობ.

– არა! არა! – სასოწარკვეთილი ვუქნევ თავს. – ეს ასე არ არის, ჩვენ არ...

– გეყოფა ეს ჭაბუკური მაქსიმალიზმი, ბოლო ყველგან ერთნაირია. გინდა იცოდე, ვის ვუჭერ მხარს ამ საზიზღარ ომში? არავის. ყველა ერთნაირია. ყველა. ყველა ადამიანის მოსაკლავად მიდის, ასე რომ არ ელოდო ჩემგან... – მაგრამ ვერ ამთავრებს სათქმელს, რადგან სამზარეულოდან გამოდის დედა ნამტირალევი თვალებითა და აკანკალებული ხელებით.

– ახსარ! – იგი ცდილობს ჩაებღაუჭოს მხარზე, მაგრამ ძმა დედას ხელიდან უსხლტება და კარებისკენ მიდის. დედა უკან გაეკიდა. – შენ საით?

– არსად, ჰაერს გადავყლაპავ. – მოკლედ პასუხობს იგი.

– შორს ნუ წახვალ, ახლა სახიფათოა... – სასოწარკვეთილი ევედრება, მაგრამ ხმა არ ემორჩილება. ახსარი გადის და თვალს ეფარება.

– ეს ასე არ არის... – მტკიცედ ვამბობ მე. დედა მიტრიალდება, მაგრამ არ მპასუხობს, – ეს ასე არ არის! – ვიმეორებ.

– ჩაის დაგისხამ, – დედა კვლავ სამზარეულოში გადის, მე კი ვრჩები მარტო ამ გაურკვევლობასთან, რომელიც თითქოს ჩემს ზემოთ ჰკიდია და მაწვება. არა, არც შიშს ვგრძნობ, არც სასოწარკვეთას, უბრალოდ, ჩემთვის აუცილებელია, რომ ეს ყველაფერი დამთავრდეს.

უბრალოდ დამთავრდეს.
მაგრამ ასე ჩქარა არაფერი მთავრდება და ომის დროც არ გადის.

ბიძიას ქურთუკი ისევ იმავე ადგილზეა ჩამოკიდებული, დროდადრო ვჩერდები და დიდხანს ვუყურებ. ის არ ბრუნდება, ჩვენს თავზე მფრინავი ვერტმფრენების ხმას კი თანდათან უფრო ვეჩვევით და სწორედ ესაა ყველაზე საშინელი.

ისევ სადარბაზოს კიბეზე ვზივარ, ჩემი ძმა ბრუნდება სეირნობიდან, – ბოლო დროს ჩვენ თითქმის არ ველაპარაკებით ერთმანეთს.

– ისევ აქ ზიხარ? – მეკითხება ახსარი, მე პასუხად მხოლოდ თავს ვუქნევ. ის ჩერდება ჩემს გვერდით და მეკითხება, – ბიძია ჯერ არ დაბრუნებულა? – ახლა უარის ნიშნად ვუქნევ თავს. – აქ დიდხანს არ დარჩე, დედა ისევ ინერვიულებს, – ის

უკვე ზემოთ ადის, მე უცებ ვუტრიალდები.

– ალანიამ წააგო! – ის წამიერად ჩერდება, მაგრამ მოუხედავად მეუბნება:

– ვიცი.

– ვიფიქრე, დაგაინტერესებდა, რადგან შენ ვერ მოხვდი თამაშზე. ამბობენ, უინტერესო თამაში იყოო... – ჩქარა ვლაპარაკობ, რადგან მეშინია, წავა და, უბრალოდ, ვერ მოვასწრებ ყველაფრის თქმას – იმ ყველაფრის, რაც შეიძლება გამოხატო ერთი ფრაზით ალანიის წაგების შესახებ. იგი გზას განაგრძობს.

– ჩემთვის სულ ერთია. – მოკლედ მპასუხობს ახსარი და კარს მიიხურავს.

– მართლა?... – ძლივს გასაგონად ვამბობ მე სიცარიელეში და მინდა მივტრიალდე მისკენ, დავეწიო, ან საერთოდ გამოვანგრიო ეს ოხერი კარები, მაგრამ სანამ ადგომას დავაპირებდი, ვხედავ, რომ...

ფეხზე ბეღურა მაზის. მართლაც, სუსხიანი ზამთრისგან ერთიანად აბუზული ბეღურა. იგი ჩემს თეთრ კედებზე ფრთხიალებს და არსად აპირებს გაფრენას. ოდნავ ვიხრები და სათუთად ვიყვან ხელში. იგი არ მეწინააღმდეგება, არ ცდილობს გაფრენას. მივიყუჟე ლოყასთან და ტუჩები მის პატარა თავს შევახე – ახლა მასაც ხომ ძალიან ეშინია!

– როგორც მოხვდი აქ, ჩემო კარგო? შენც ვერ ეჩვევი ვერტმფრენების ხმას? – ბოლო ფრაზაზე ხმა მიწყდება და ჩურჩული თანდათან მოთქმაში გადამდის, რადგან ხელებში შეშინებული ბეღურა მიკანკალებს.

პატარა, ფაქიზი, უმწეო ბეღურა ხელში მითრთის და ვგრძნობ, რომ ყველაფერი უკეთ მესმის... მაგრამ მაინც მოვთქვამ, ვერ ვჩერდები, რადგან ახლა უფრო მეტად ვგრძნობ, რომ მე და ის ერთნაირები ვართ.

სუსტი არგუმენტაცია

ალან ცხურბაევი

– შენსკენ ყველაფერი ნორმალურადაა? – სავარძელში მჯდომი მამაკაცი აშკარად ცდილობდა, გულგრილი ადამიანის შთაბეჭდილება არ დაეტოვებინა. თუმცა, ფეხზე გადადებული ფეხი ამ სურათს რამდენადმე აუფერულებდა.

– უკვე მეორედ მეკითხები. – ქალი კი პირიქით, ისევ ისე იდგა ფანჯარასთან, თითქოს იქ ვინმეს დანახვას ელოდა და სწორედ ეს გასცემდა მის ფარულ ღელვას.

– უბრალოდ, ისე გამოიყურები... – არ ეშვებოდა მამაკაცი.

– ჩვეულებრივად გამოვიყურები.

– მე ვიფიქრე, იქნებ, რამე მოხდა–მეთქი?

– არაფერი მომხდარა.

– კარგი...

ფანჯრის მიღმა გადაშლილი ხედი დიდი ვერაფერი შვილი იყო. სახლები და მათ უკან – მთები.

– ჩვეულებრივად გამოვიყურები, – ფანჯრიდან მოუბრუნებლად გაიმეორა ქალმა.

– კარგი, – გაიმეორა მამაკაცმა.
სხვა დროს მათ უბრად ყოფნაც შეეძლოთ, მაგრამ ახლა, როდესაც ოთახში დუმილი ჩამოწვა, ეს უხერხული პაუზები მყისვე ყინულის ვეება ლოდებად იქცეოდა, რომლებიც ფანჯრის მიღმა მთებიდან პირდაპირ მათი ოთახის იატაკზე ეხეთქებოდა და ზათქით იმსხვრეოდა.

– უბრალოდ მეორე დღეა არ დაურეკავს, აი, რაშია საქმე. დაიკარგა და არ რეკავს.

– დარწმუნებული ვარ, მალე გამოჩნდება.

– და რატომ ხარ ასე დარწმუნებული? – ქალი, როგორც იქნა, შემობრუნდა მისკენ და ისე შეათვალიერა, თითქოს პირველად ხედავდა. მამაკაცი დუმდა.

– კარგი, მესმის, რომ გინდა გამამხნევო. მაგრამ არ შეიძლება იძახო, რომ დარწმუნებული ხარ, როდესაც არაფერშიც არ ხარ დარწმუნებული.

– ანუ, უბრალოდ, ესე იგი მას უბრალოდ არ შეუძლია, სულ ესაა. – დაიწყო თავის მართლება მამაკაცმა, – შენ ფიქრობ, რომ იქ, ომში, ყველას მობილური აქვს, თუ რა? უბრალოდ, ის ალბათ იქ რაღაცითაა დაკავებული და მეტი არაფერი. ჰოდა, არ შეუძლია დარეკვა.

– თავადაც ვიცი, რომ დაკავებულია, ომია ბოლოს და ბოლოს, ომი, ყველაფერი მესმის, – ქალმა თანდათან ხმასაც კი აუწია, – იქ ყველა იმით არის დაკავებული, რომ ერთიმეორეს ესვრის, მერე კი ვიღაც კვდება, ვიღაც კი შინ ბრუნდება. აი, სწორედ ამითაა ის იქ დაკავებული, ყველაფერი მესმის.

– უბრალოდ, უნდა დამშვიდდე, მესმის, რომ ნერვიულობ. – სავარძელში მჯდარი მამაკაცი მართლაც მთელი ძალით ცდილობდა, ყურადღებიანი ყოფილიყო, მან ფეხიც კი ჩამოუშვა იატაკზე, თუმცა, საჭირო სიტყვების გამოძებნა მაინც არც თუ ისე კარგად გამოსდიოდა. – უბრალოდ, სხვა რამეზე გადაერთე.

– კი, როგორ არა. იქნებ, წიგნი წამეკითხა? მაგალითად, რომელი? მირჩიე რამე. აი, ნახე აგერ რამდენია, ასობით. მან კი ყველა წაიკითხა! – ქალმა ხელი წიგნის მაღალი თაროებისკენ გაიქნია, – ვინ აღარაა მანდ, წყეული ჰუმანისტები. და იცი, ყველაფერი, რაზეც ისინი წერდნენ, აბსოლუტური უაზრობაა, ამას ახლა მივხვდი, აზრი საერთოდ არ აქვს. ისინი თავიანთ ჭკვიან წიგნებს წერენ და მერე ის, ვინც ისინი წაიკითხა და აღფრთოვანდა, მიდის ომში და იქ კვდება. და რა? შენ გგონია, სიკვდილის წინ ის წიგნებზე იფიქრებს? გგონია, ისინი მას დაეხმარებიან? ვერ მოგართვეს. მათში არავითარი სარგებელი არ არის.

– მაგრამ წიგნები ამისთვის არ იქმნება. ისინი იქმნება, რათა...

– ჰო, როგორ არა, ბარემ, ისიც თქვი, რომ წიგნები ჩვენს სამყაროს უფრო კარგ და კეთილ ადგილად აქცევენ, – სიტყვა შეაწყვეტინა ქალმა.

– როგორ გითხრა, გარკვეულწილად აქცევენ კიდეც, რა თქმა უნდა, – ყოყმანით თქვა მან პაუზის შემდეგ.

– ამას სერიოზულად ამბობ? აქვე ჩვენს უკანალთან ომია, შენ კი ხელოვნების სარგებლობაზე მსჯელობ? აი, მომისმინე, – სწორედ ამ დროს ზემოდან კვლავ ვერტმფრენის ხმაური მოისმა და ქალმა თითი ცისკენ აიშვირა – აი, ესაა მთელი შენი ხელოვნება. ახლა ას კილოგრამიანი ბომბის სახით დაგვეცემა თავზე. აი, ეს იქნება მაგარი ინსტალაცია! პერფორმანსი!

მამაკაცს, როგორღაც, აშკარად არ გამოსდიოდა კამათი და ამიტომ გაჩუმება ამჯობინა, ქალი კი კვლავ მთებისკენ მიბრუნდა.

– მართლა, იცი რატომ გამოგყევი ცოლად? ესე იგი, სხვა მიზეზებთან ერთად? – მოულოდნელად განაგრძო ქალმა, – იმიტომ, რომ წიგნები ფეხებზე გკიდია. ასეთი რამეები არ განაღვლებს. შენ უბრალოდ ბანალობებს გაიძახი იმის შესახებ, რომ ისინი სამყაროს უფრო კეთილ ადგილად აქცევენ, მაგრამ რამდენი გაქვს მათგან წაკითხული? ხუთი? ორი? მე კი ეს მომწონს, პატიოსნად გეუბნები. ეს კარგია. მძულს ყველა ეს ინტელიგენტი, რომლებიც თავიანთი წიგნების გარდა ცხოვრებაში ვერაფერს ამჩნევენ. სხვისი ცხოვრებით ცხოვრობენ, განა, ასე არაა? მაგრამ იცი მას რის გამო გავცილდი? ესე იგი, სხვა მიზეზებთან ერთად? იმიტომ, რომ მან ხელში შემიკლა თავისი წიგნებით. იგი ყველგან იყო, მხოლოდ არა აქ და არა ჩემთან. წყალქვეშა ნავში იყო, მთებში და ზღვაში, მხოლოდ არა ამ დამპალ ბინაში და არა ჩემს გვერდით. და ყოველ საღამოს მიყვებოდა, თუ სად იმოგზაურა და რა ნახა.

– მაგრამ აი, ახლა ის ომშია, – კიდევ ერთი ბანალობა თქვა მამაკაცმა.

– სწორედაც, დალახვროს ეშმაკმა, სწორედაც, ნამდვილ ომში. და სულაც არა ისეთში, როგორიც წიგნებშია. ამიტომაც ვდგავარ აქ და ვნერვიულობ სულელივით, რადგანაც მან ისინი გვერდზე გადადო და ხელში თოფი აიღო, თუ რაც აქვთ იქ მათ ხოლმე. და ახლა, ალბათ, ზის რომელიმე სულელურ სანგარში და ფიქრობს წიგნებზე, მე ხომ ვიცი, როგორიცაა. დაფრინავს ღრუბლებში. არანორმალურია. ამიტომაც ვღელავ. მებრძოლი რომ იყოს, ასე არ ვიგიჟებდი, ღმერთმანი!

ამ დროს ოთახის კარი გაიღო და მოხუცი პაპა შემოვიდა.
– შენ ხო არ იცი, ამ გადარეულმა დედაბერმა სად წაიღო ჩემი სათვალე? – ეს ფრაზა ისე არ ეხამებოდა მათ დიალოგს, რომ ქალმა რეაგირება დაუგვიანა.

– არა, პაპა, არ ვიცი სად დადო ბებომ შენი სათვალე.

– ეს გადარეული დედაბერი სულ ჭკუიდან გადავიდა, სულ სადღაც გადააქვეს-კნელებს ხოლმე. საიქიოშია აწი მაგის ადგილი, ღმერთმანი... – ბუზღუნი განაგრძო პაპამ და კვლავ იატაკზე ქოშების შრაშუნით გავიდა ოთახიდან.

– შენ კი იცი, მე რატომ გავცილდი ცოლს? რადგანაც, როგორც ჩანს, დღეს გულახდილი საუბრების საღამო გვაქვს? – შემოსთავაზა მან თავისი თემა, ვითომდა გადაწყვიტა, თავისი ბანალობების ფრიდან გამოსულიყო. – მოკლედ, ვწევარ რა, ჩემთვის დივანზე, წარმოიდგინე, „ბითლზს" ვუსმენ. მოკლედ, შენ იცი, ეს ჩემი საყვარელი საქმიანობაა, დივანზე წოლა და „ბითლზების" მოსმენა. შეიძლება მე წიგნებს არ ვკითხულობდე, მაგრამ მუსიკა მიყვარს. შესაძლოა იმიტომ, რომ არ არის საჭირო არაფერზე ფიქრი, როგორც ეს წიგნების შემდეგ ხდება, უბრალოდ

ისმენ და სიამოვნებას იღებ. მოკლედ, ვწევარ, ჩვეულებისამებრ, და ეს კიდევ მეუბნება, შენ შემთხვევით პრესლის ჩანაწერები ხომ არ გაქვსო? თან ამ დროს სარკის წინ სახეს იღებავდა, მე კი ვიწექი და ველოდი, როდის დაამთავრებდა და ეს კიდევ ამ დროს მეუბნება, პრესლი ხომ არ გაქვსო?

აქ ის რატომღაც გაჩუმდა. თითქოს, თვითონაც ვერ მიხვდა, ამას რატომ ჰყვებოდა. – და მერე რა? – ქალი თითქოს დაინტერესდა.

– რას ჰქვია, რა? ჩვენი ერთად ცხოვრების უკვე მეოთხე წელი მიდიოდა და ყველაფერი მომხდარა, კარგიც და ცუდიც, ხომ ხვდები. მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში ეს მისი პირველი, სულ პირველი მცდელობა იყო, მუსიკაზე საუბარი წამოეწყო. ეს იმიტომ, რომ მას მუსიკა საერთოდაც არ აინტერესებდა, მხოლოდ მისი ქარგვა აინტერესებდა. ჰო, იოგა კიდევ, გიჟდებოდა მასზე, ამის მეტი კი არაფერი, სერიოზულად. ამიტომ თავიდან ვერც კი გავიგონე, რას ამბობდა, მეთქი რა თქვი? და ხმას ჩავუწიე. ის კი სახეს იღებავს და იმეორებს, პრესლიო... ჰოდა, აი, მაშინ მართლა ისე მურტლად ვიგრძენი თავი, როგორც, ალბათ, არც ერთი სკანდალის, არც ერთი გატეხილი თეფშის მერე არ მიგრძნია. სერიოზულად. პრესლი, ეშმაკმა დალახვროს! მე, მართალი გითხრა, სულაც დამავიწყდა, ვინ არის. ჩემთან ერთად სამი წელი იცხოვრო და არ იცოდე თუნდაც ცოტა რამ ჩემი მუსიკალური გემოვნების შესახებ? იმდენად მურტლად ვიგრძენი თავი, რომ ავდექი დივანიდან და... და მივხვდი, რომ ეს მართლაც დასასრული იყო.

– მოიცა, ესე იგი, შენ პრესლი არ გიყვარს?

– მეზიზღება ეგ ნაგავი.

– გასაგებია. შემთხვევით ხომ არ მიმატოვებ ამ შეკითხვის შემდეგ, არა? ჩვენ, პრინციპში, არც ისე დიდი ხანია შეუღლებულები ვართ....

– ჩვენ, ორი თვეა...

– ჰმ, ესე იგი, კიდევ მქონია დრო... მოიცა, შენ არ ამბობდი, მგონი ერთმანეთს შეხვედრიან კიდეცო? „ბითლზი" და პრესლი, არა?

– ჰო, შეხვდნენ ერთხელ. მერე რა? „ბითლზი" თითქმის ნახევარი წელი თხოვდა მას შეხვედრას, და, ამასთან, იმ საღამოს გადაღებული არც ერთი ფოტოც კი არ არსებობს. მან აკრძალა ფოტოების გადაღება.

– რატომ?

– ვინ იცის, უცნაური ვინმე იყო. მოიგონა თავის შესახებ ათასნაირი მითები, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, რას წარმოადგენდა? რის გამო ატყდა ხმაური? კარგი, იმღერა ერთი–ორი სხვისი ჰიტი ხელსაყრელ დროს, ესაა და ეს.

– ჰო, რა ვიცი. არ ვიცი, მოკლედ. მე მომწონდა მისი რაღაც სიმღერები.

– მაგრამ ეს ხომ მისი სიმღერები არ იყო.

– მან კი ისინი თავისად აქცია. თუმცა, კარგი, არ გეკამათები. თორემ ადგები და მიმატოვებ, მე კი ახლა ამისთვის მზად არ ვარ რაღაცნაირად.

– მე ამის თქმა არ მინდოდა.

– ვიცი. ვიხუმრე.

– კარგი, – უპასუხა მან, რადგან გრძნობდა, რომ მისმა მონათხრობმა ქალის აზრებში რაღაც ადგილი დაიკავა და შეძლო მისი მცირე ხნით გართობა. – კარგია, თუ ხუმრობ კიდევაც.

კარი ისევ ჭრიალით გაიღო და ოთახში მოხუცმა ქალმა შემოიხედა.

– ეს ბერიკაცი საბოლოოდ შეირყა ჭკუიდან, – დაიწყო მან აღშფოთებული ხმით, – იცი, რა გააკეთა?

– რა, ბებო? – რაღაც განყენებულად მიუგო შვილიშვილმა, – რა ჩაიდინა, მიდი, მომიყევი.

– ბოლო ხმაზე ჩართო ტელევიზორი და მე კი მისგან თავი მტკივა.

– შენ ხომ იცი, რომ ცუდად ესმის.

– მაგრამ, ამასთან ერთად, ის გაზეთს კითხულობს!

– აჰა, ესე იგი უპოვნია თავისი სათვალე?

– რა თქმა უნდა, მე დავუმალე, რომ არ აშრიალოს თავისი იდიოტური გაზეთი, ეს ხმა დაძინების საშუალებას არ მაძლევს.

– ესე იგი, ცუდად დაგიმალავს, ბებო, – ასევე მინიმალური ინტერესით უპასუხა ქალმა.

– მაცივარში დავმალე, მან კი რაღაცნაირად იქაც მიაგნო. აი, ხომ ხედავ, სკლეროზიანად მოაქვს თავი, მაგრამ როცა რამე სჭირდება, ძალიანაც კარგად უმუშავებს თავი. ბებერი იდიოტი.

– მაცივარში დამალე?

– ჰო, კარაქის უკან დავდე, მას ხომ კარაქი არ უყვარს, ჰოდა, მეც მის უკან დავმალე. მან კი იქაც მიაგნო. მთელი ცხოვრება გამიოხრა, მაგას მარტო სამარე გაასწორებს.

მოხუცმა კარი გაიხურა, მისმა შვილიშვილმა კი უცებ ხმამაღლა სიცილი დაიწყო. თანაც ისე, რომ ელვისის მოძულესაც კი გაეღიმა თავის სავარძელში.

– მგონი, ეგენი ერთმანეთს გაისტუმრებენ საფლავში, – თქვა ქალმა, როდესაც დაწყნარდა. – და ეს სულაც არ არის სასაცილო. – მისმინე, ალბათ ახალ ამბებს უნდა ვუყუროთ, იქნებ, იქ მაინც თქვან რამე. თუმცა, იქ მარტო იმას გაიძახიან, რომ „არის მსხვერპლი“ და კონკრეტულს არაფერს ამბობენ.... ის მაინც რომ მცოდნოდა, ახლა სად იმყოფება, რომელ ნაწილში, იქნებ მომეხერხებინა მისი მოძებნა.

– აუცილებლად მოინახება.

– ჰო, შენ ეს უკვე თქვი, – შეახსენა ქალმა და თავიდან დაიწყო, – აი, რას წაეთრია საერთოდ იქ, ვერ გამიგია ვერაფრით? რამე სარგებელი მაინც რომ იყოს იქ მისგან....შენ იცი, რომ მაგას საერთოდაც შეეძლო, არ წასულიყო იქ? სამინისტროში მისი კლასელი მუშაობს. აი, იმ საქმეების, სამხედროა, მოკლედ. ასჯერ ვუთხარი, დაერეკა მისთვის, ასჯერ! ამან კი – არაო და მორჩა, დამთავრდა. პრინციპულია. იკითხა ეს ათასნაირი წიგნები და პრინციპული გახდა, პატიოსანი ეგეთი. ვეუბნები, აი, რას მიდიხარ იქ, სად ომი და სად შენ, ბიბლიოთეკასაც კი არასოდეს გაცილებიხარ–მეთქი, ის კიდე მეუბნება: „დრო მოვიდა“, წარმოგიდგენია? თანაც რაღაც პათოსით, შეჩერდა, თავი ჩაქინდრა და ამბობს, „ესე იგი, მოვიდა ჩემი დრო“. რა ჯანდაბის დრო, ადამიანო? შენ რა, არჩეული ხარ? ვინმე ბრიუს უილისი ხარ თუ ვინ ჯანდაბა ხარ? – სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა ქალის ხმა, – გადამრჩენი ჰგონია თავი... და საერთოდ, რისი გულისთვის უნდა წავიდეს კაცი იქ? თავი გარისკოს? ის კიდე, იცი, რას მეუბნება? მეუბნება, რომ მე ამ პრეზიდენტს მივეცი ხმა და მისი ბრძანებები უნდა შევასრულოო. წარმოგიდგენია? წარმოგიდგენია, საერთოდ რეებს როშავს? პრეზიდენტისთვის ომში წასვლა! აი, ამ ჩვენი არანორმალური იდიოტისთვის ომში წასვლა? ვეუბნები, ეს ხომ უბრალო გასეირნება არაა, იქ სროლა იქნება საჭირო, ეს კიდე რას მპასუხობს იცი? აი, მომისმინე, მეუბნება, მიზანში არ ვისვრი, ავაცილებო. ავაცილებო... წარმოგიდგენია? უბრალოდ შეგიძლია წარმოიდგინო, რა გადარეულია? – ქალი თითქოს მთელი ტანით ცახცახებდა, – ესე იგი, ყველა მას დაუმიზნებს და ეს კიდევ ააცილებს, წარმოგიდგენია? ეს შეშლილი ადამიანი, რომელიც რაღაც თავის გამოგონილ სამყაროში ცხოვრობს, და იცი, ორასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქცევა. თამაშობს, გესმის, საკუთარ ცხოვრებას ეთამაშება, ყველა წესითა და პრინციპით, რომლითაც თავი გამოიჭედა. გიჟი! მაგრამ ასე არ შეიძლება, ეს ხომ ეგოიზმია, ის საერთოდ არ ფიქრობს მის გარშემო მყოფ ადამიანებზე, არ ფიქრობს თავის ვაჟზე, ბოლოს და ბოლოს – ჩემზე, მხოლოდ პრინციპები! პრინციპები და წესიერება! რადგანაც პრეზიდენტმა თქვა, ესე იგი უნდა წახვიდე. და ის, რომ პრეზიდენტი გონებრივად ავადმყოფი, არაადეკვატური ტირანია – ეს მას არ ეხება.

აქ ოთახის კარი ისევ გაიღო, ზღურბლზე პაპა გამოჩნდა.

– სანამ თქვენ აქ კინკლაობთ, წარმოდგენაც არ გაქვს, რა ქნა ამ მარაზმატიკოსმა დედაბერმა, მაგის ადგილი სამარეშია, ეს კი ვერაფრით დაწყნარდა...

– ღმერთო, როგორ მომბეზრდით, – გააწყვეტინა ქალმა და უკვე ყვირილზე გადავიდა, – თქვენ მართლა ორი ბებერი მარაზმატიკოსივით ხართ, ნუთუ არ მოგბეზრდათ მთელი ცხოვრება ერთმანეთის ლანძღვა, თქვენ ხომ თვითონ იკლავთ თავს! 90 წლისები ხართ, ხვალ–ზეგ მოკვდებით, ძლივსღა სუნთქავთ და მაინც ყოველდღე ჩხუბობთ, ღმერთო, ამას რატომ შვრებით? ნუთუ სიკვდილის წინაც არ შეგიძლიათ დაწყნარება? აი, როგორი ეგოისტებიც იყავით მთელი ცხოვრება, ისეთებად დარჩით. თქვენ ხომ სულ ფეხებზე გკიდიათ, რომ ომია, რომ იქ თქვენი შვილთაშვილის მამაა, რომ ის შეიძლება მოკვდა კიდეც და წევს მკვდარი სანგარში, თქვენ კი ფეხებზე გკიდიათ! თქვენ მხოლოდ ერთმანეთი ლანძღოთ, ის გინდათ, – უკვე დაკეტილ კარს უყვიროდა ქალი, რადგან უკმაყოფილო პაპა უკვე თავის ოთახში დაიმალა. – მე უკვე აღარაფერი მესმის, გეფიცები, – თქვა ქალმა, როდესაც ოდნავ დაწყნარდა, – ალბათ ვგიჟდები, იქ ომია, სულ ახლოს, ჩვენ ყველა შეიძლება დავიხოცოთ, ეს ორი კი ომის გარეშეც სასიკვდილოდ ებრძვის ერმანეთს და ასეა მთელი ცხოვრება, არ მესმის, რატომ უნდა მოიქცნენ ასე? ასე რატომ ცხოვრობენ?

კვლავ სიჩუმე ჩამოწვა. ბიტლომანი დადუმებულიყო, არ იცოდა რა ეთქვა... მერე კი უცებ ისევ გაიმეორა, ვითომ ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა:

– ის დაბრუნდება, აუცილებლად, აი ნახავ.

ქალი მას ისე მკაცრად უყურებდა, რომ კაცს უნებლიედ მოუწია იმის ახსნა, თუ რატომ იმეორებს განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს.

– უბრალოდ, ვიფიქრე, რომ თუ მან გადაწყვიტა, მიზანს ააცილოს, ესე იგი, მეორე მხარესაც შეიძლება იყოს ვინმე მასავით უცნაური. მარტო ხომ არ არის ასეთი მთელს მსოფლიოში? – დაასრულა მან და თან ცდილობდა, თავისი ხმისთვის მეტი გამბედაობა მიეცა, თუმცა, ორჭოფობა დაეუფლა და სავარძელში აწრიალდა. ქალი ისევ იჯდა და უცქერდა მას, მაგრამ უკვე სულ სხვა მზერით. უცებ, ოთახში ხმაურით ამუშავდა მაცივარი, ქალმა ხმადაბლა თქვა „სულელი“ და სატირლად გავარდა. როგორც არ უნდა მიუდგე, ამ დღეს მას არაფრით გამოუდიოდა საჭირო სიტყვების მოძებნა.